ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## პატრიარქი: „ინებოს უფალმა, რომ კურთხეული და ამაღლებული იყოს ქართველი ხალხი“



გვ.5

**18 მაისიდან**

ვიქტორ სუვოროვი

**აკვარიუმი**

ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

პარასკევი, 18 მაისი, 2018 | №116 (7661) | ფასი: 50 თეთრი

# მორიგი ცემა-ტყეპა რუსთაველის გამზირზე



გვ.2

„ეს ქუჩა 24.00 საათამდე ეკუთვნის ეკლესიას, ქრისტიანულ დღესასწაულს. ვინც ჩამოვა, აქ პასუხს მიიღებს... ვერავინ ჩაატარებს, ვერც გეი, ვერც მამაძაღლი და ვერც პეტრე აქ ვერაფერს. დღეს არის მართლმადიდებლების ზეიმი, 24.00 საათამდე ვერავინ ვერაფერს ჩაატარებს, 24.00 საათის შემდეგ, რაც უნდათ, ის უქნიათ, თავში ქვა უხლიათ“



გვ.4

## თამარ ხიძე: „ბოლოდროინდელი პროცესები მართულია ხელისუფლების მიერ“

„ლგბტ თემით გარკვეული ჯგუფები ცდილობენ დემოკრატიული ფასეულობების დისკრედიტაციას“

## „მარგველაშვილი და კვირიკაშვილი პოსტების შენარჩუნებას რუსეთის დახმარებით ცდილობენ“

„საქართველო მალე საჰარის უდაბნოდ გადაიქცევა“



გვ.3

## რომან გოცირიძე: „ხელისუფლება კონსტიტუციას ვერ იცავს“



გვ.4



გვ.3

## ლევან ალაფიშვილი: „ქართველობის შენარჩუნება“ კანონპროექტებით დაუშვებელია“

„არ შეიძლება ადამიანების ემოციებზე თამაში. ეს შესაძლოა საშიში აღმოჩნდეს“

**სამართალი** გვ.7

## თემქაზე მოკლულ 20 წლის გოგოს 33 ჭრილობა აქვს მიყენებული





## ზაზა სარალიძე: „ბრალდებულმა პირდაპირ დაადო ხელი ორ პირს და თქვა, რომ მათ ხელში რაღაც საგნისმაგვარი დაინახა, რომელსაც ჩემს შვილს უქნევდა“

**ეკონომიკა** გვ.6

## 4 თვეში ტურიზმმა საქართველოს 800 მლნ დოლარის შემოსავალი მოუტანა



## რა რეგულაციებისგან თავისუფლდება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოხელე



## „საერთაშორისო ბაზრებზე ძალიან დიდი, არაჯანსაღი კონკურენციაა“



ISSN 1987-9385

**5** პატრიარქის მოსაყდრე: „ოჯახური სიწმინდე შეირყა“

**2** ისრაელში საქართველოს მოქალაქე ხორცის საკეპ მანქანაში ჩავარდა და გარდაიცვალა

**5** დიმიტრი ლორთქიფანიძე მედვედევთან დაკავშირებული ორგანიზაციის დირექტორი გახდა

**7** გორში იეჰოვას მოწმეების სამეფო დარბაზს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს

# მორიგი ცემა-ტყეპა რუსთაველის გამზირზე

შორენა მარსაგიშვილი

თბილისში პოლიტიკური ტემპერატურა სულ უფრო მაღლა იწევს. რუსთაველის გამზირი გუშინ, 17 მაისს, ნამდვილ ბრძოლის ველს დაემსგავსა. სიტუაციის განსამუხტად პოლიცია იძულებული გახდა, დაკავებების სერია განეხორციელებინა. ამ ამბების შემხედვარე უფლებადამცველმა, მიშა კაჭკაჭიშვილმა, ხელისუფლებას მიმართა, რომ რუსთაველის გამზირს დროებით გადაერქვას სახელი და „აბა დამიჭირე“ ეწოდოს.

რუსთაველზე აქციის დროს გია კორკოტაშვილი, გურამ ფალავანდიშვილი, რამაზ გაგნიძე, ლევან ჩაჩუა და გურამ ქართველიშვილი დააკავეს.

დაჭერობანას თამაში რუსთაველზე თითქმის მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა. არადა, 16 მაისს გაკეთებული განცხადებების თანახმად, მშვიდი დილა უნდა გაგვთენებოდა.

თანასწორობის სახლმა, რომელიც მსვლელობის გამართვას აპირებდა, ღონისძიება გააუქმა. შემხვედრი ნაბიჯი გადადგა ქართულმა მარშმა და განაცხადა, რომ ისინიც აუქმებდნენ დაანონსებულ აქციას. მანამდე მათ პირობა ჰქონდათ დადებული, რომ რუსთაველზე ლგბტ თემის წარმომადგენლებს არ გაატარებდნენ.

დილა თითქოს მშვიდად დაიწყო. რუსთაველზე რაინდის ფორმაში გამოწყობილმა კაცმაც ჩაიარა. ის ცხენზე იყო ამხედრებული და სახეს ნიღაბი უფარავდა.

მის გარდა, დედაქალაქის მთავარ გამზირზე სხვა ნიღბიანებიც გამოჩნდნენ. საუბარია ქართველ ნეონაცისტებზე. მათ სვასტიკიანი სამკლავურები ეკეთათ. ეს სამკლავურები უცხოელი ტურისტებისთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. ისინი ახალგაზრდა ქართველ ფაშისტებს აქტიურად ულებდნენ ფოტოებს.

შთამბეჭდავი იყო მსვლელობაც, რომელიც საპატრიარქომ გამართა. ამ ღონისძიებაზე დასასწრებად ხალხი 40 ეპარქიიდან ჩამოიყვანეს.

ერთი შეხედვით, ყველაფერი მშვიდად მიდიოდა, მაგრამ ეს სიმშვიდე ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა. ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი ჯგუფი მთავრობის ადმინისტრაციასთან აპირებდა ჰომოფობიის გაპროტესტებას.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ მარშელები წყობილებიდან გამოვიდნენ და განაცხადეს, რომ ანტიჰომოფობებს საკადრის პასუხს გასცემდნენ.



პოლიციამ გადაწყვიტა, მათი აქტიურობა ოდნავ მოედუნებინა და მარშის რამდენიმე ლიდერი დააკავა. შსს-ს განმარტებით, ისინი პოლიციის განყოფილებებში გამოკითხვაზე მიიყვანეს.

ამ დაკავებას მარშელებში დიდი ხმაური მოჰყვა. მათი შეფასებით, „ქართულმა ოცნებამ“ ეროვნული მოძრაობის ლიდერების დაკავება დაიწყო. დაკავებას ვერც სვასტიკიანი ახალგაზრდები გადაურჩნენ. პოლიციის სამმართველოში ისინიც მიიყვანეს. რუსთაველზე უფლებადამცველი გიორგი გაბედავაც დააკავეს.

პოლიციამ მეტროსადგური თავისუფლების მოედანი დროებით ჩაკეტა. ჰომოფობიის მაგინებლები მთავრობის ადმინისტრაციასთან ავტობუსებით მიიყვანეს.

ტრანსფობიისა და ჰომოფობიის წინააღმდეგ აქცია გაიმართა. ადგილზე იმყოფებოდნენ რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ აქციის ერთ-ერთმა მონაწილე ანა ონიანმა განუცხადა, მისი აქციაზე მისვლის მთავარი მიზეზი იყო ის რთული რეალობა, რომელიც დღეს სხვადასხვა უმცირესობის წინაშე არსებობს. მისივე თქმით, 17 მაისი თავისუფალი აზრის გამოხატვის სიმბოლოდაც იქცა.

– ჩემი აქ მოსვლის მთავარი მიზეზი არის ის რეალობა, რომელიც დღეს გვაქვს. იგივე სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები, თავიანთი იდენტობიდან გამომდინარე, დღის შუქზე გამოსვლასაც კი ვერ ახერხებენ. ამავდროულად, 17 მაისი არის ერთგვარი სიმბოლო თავისუფალი აზრის გამოხატვისა და ვიმედოვნებთ, რომ მოვა დრო და ხელისუფლება სათანადოდ დაიცავს ამ ადამიანების უფლებებს. ამავდროულად, გამოვედი იმიტომ, რომ ჩვენ ვნახეთ, ხელოვნურად როგორ ხდება თავისუფლების ჩახშობა, – აღნიშნა ანა ონიანმა.

ანა ონიანისა და მისი თანამოაზრეების აქციას სამართალდამცავები იცავდნენ. კონტრაქციის ერთ-ერთმა მონაწილემ მაინც მოახერხა ჰომოფობიის მაგინებელთა რიგებში შეჭრა. მან აქციის მონაწილეებს ჯერ აგინა, შემდეგ კი ფიზიკურ შეურაცხყოფაზეც გადავიდა. დამარბეველი პოლიციამ დააკავა.









დაკავებულის თანამოაზრეები კი რუსთაველზე წითელთმიან ქალებს გაეკიდნენ გინებით. მერე გაირკვა, რომ ის ქალები აქციასთან კავშირში არ იყვნენ და რუსთაველზე უბრალოდ გაიარეს.

ჰომოფობიასთან მებრძოლებს თუ პოლიცია იცავდა, მარშელებსა და მათ თანამოაზრეებს სასულიერო პირები ამხნევებდნენ.

– თქვენ მარტო არ ხართ. სადაც ჩვენი შვილები არიან, ჩვენც მათ შორის ვართ, – ასე მიმართა აქციის მონაწილეებს წითელ ხიდზე მდებარე მთავარანგელოზის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, მამა ანდრია ორმოცაძემ.

მისი განცხადებით, აქციას შემოუერთდებიან სასულიერო პირებიც და საჭიროა, მან მშვიდობიან ფორმებში ჩაიაროს. მამა ანდრია ორმოცაძემ მწუხარება გამოთქვა ასევე მიმდინარე აქციის რამდენიმე მონაწილის დაკავების გამო.

– ჩვენი აქ მოსვლა არის მშვიდობიანი და ჩვენი აზრის დაფიქსირება გვსურს მშვიდობიან ფორმებში. ჩვენ არავის ვუცვივდებით ოფისებში და ჩვენ გამოვდივართ საზოგადოების თავშეყრის ადგილას. სამწუხაროა, რომ არაერთი ადამიანი დააკავეს, მაგრამ უნდა შევინარჩუნოთ მშვიდობა, არ წამოვეგოთ პროვოკაციას, არ დავივიწყოთ, რომ ქრისტიანობა სიყვარულია, მაგრამ ამ სიყვარულში არ მოიაზრება უსამართლობა. მინდა გითხრათ, რომ მშვიდობიან აქციას სასულიერო პირებიც შემოუერთდებიან. თქვენ მარტო არ ხართ, სადაც ჩვენი შვილები არიან, ჩვენც მათ შორის ვართ, – განაცხადა მამა ანდრიამ.

დეკანოზი ელიზბარი კი პოლიციელებს უკითხავდა მორალს და ამუნათებდა, ლგბტ თემის მხარდამჭერებს როგორ იცავთო.

მისი თქმით, ამაღლების დღესასწაულზე ლგბტ თემის მხარდამჭერებს აქციის გამართვის უფლებას არ მისცემდნენ.

– ეს ქუჩა 24.00 საათამდე ეკუთვნის ეკლესიას, ქრისტიანულ დღესასწაულს. ვინც ჩამოვა, აქ პასუხს მიიღებს... ვერავინ ჩაატარებს, ვერც გეი, ვერც მამაძაღლი და ვერც პეტრე აქ ვერაფერს. დღეს არის მართლმადიდებლების ზეიმი, 12 საათამდე ვერავინ ვერაფერს ჩაატარებს, 12 საათის შემდეგ, რაც უნდათ, ის უქნიათ, თავში ქვა უხლიათ.

ის არასამთავრობოები, რომლებიც პროვოკაციას აწყობენ მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, იყენებენ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს, უნდა დაისაჯონ. აქ თუ ვინმე მართლმადიდებელს დაიჭერენ, პასუხს აგებენ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები და არასამთავრობოები, რომლებიც წააქეზებენ იმ ერთ მუჭა ხალხს, რომელთაც არ ვერჩით, არც ერთი მართლმადიდებელი არ ვერჩით არავის, წავიდნენ, სადაც უნდათ, იქეიფონ, იზეიმონ, თუნდაც მთაწმინდაზე. ეს ქუჩა დღეს მართლმადიდებლობას ეკუთვნის! – განაცხადა მამა ელიზბარმა.



* * *

დიდი წივილ-კივილის მიუხედავად, აქცია მაინც გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ცისარტყელას ფერების კვამლი გაუშვეს და დაიშალნენ.

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, აქციის მონაწილეთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ისინი ტერიტორიიდან სპეციალურად გამოყოფილი ავტობუსებით გაიყვანეს. მათ დანიშნულების ადგილამდე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები და მარშელთა გინება მიაცილებდა.



## ისრაელში საქართველოს მოქალაქე ხორცის საკეპ მანქანაში ჩავარდა და გარდაიცვალა

უბედური შემთხვევა ისრაელში – საქართველოს მოქალაქე ქარხანაში ხორცის საკეპ მანქანაში ჩავარდა და გარდაიცვალა.

როგორც ისრაელში მყოფი საქართველოს ერთ-ერთი მოქალაქე სოციალურ ქსელში წერს, გარდაცვლილი ახალგაზრდა მამაკაცია.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, მოგვიანებით მოხდება გარდაცვლილის იდენტიფიცირება. როგორც „ნიუპოსტს“ საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ისრაელში საქართველოს საკონსულოში ოფიციალური ინფორმაცია ჯერჯერობით არ შესულა.





ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ალაფიშვილი: „ქართველობის შენარჩუნება“ კანონპროექტებით დაუშვებელია“

## „არ შეიძლება ადამიანების ემოციებზე თამაში. ეს შესაძლოა საშიში აღმოჩნდეს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ეკა ბესელიასა და ლევან გოგიჩაიშვილის ავტორობით შექმნილ კანონპროექტზე საუბრობს.

***— ბატონო ლევან, ეკა ბესელიამ და ლევან გოგიჩაიშვილმა „კულტურის შესახებ“ კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით კანონპროექტი მოამზადეს. საზოგადოების მხრიდან დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა კანონპროექტს. რეჟისორები, მწერლები მიიჩნევენ, რომ ეს არის საბჭოური ცენზურის დაბრუნება და სხვა არაფერი. თქვენი პოზიცია როგორია?***

— კარგი იქნებოდა, ჩვენი პოლიტიკოსები ბევრად უფრო აქტუალური თემებით დაკავებულიყვნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ და საზოგადოებას აქტუალური თემები სხვადასხვანაირად ესმით. ასეთი პოლიტიკურად მოტივირებული, პოპულისტური თემები წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოების ემოციებზე კარგად თამაშობს.

ასეთ თემებს, ასეთ ინიციატივებს დემოკრატიასთან არავითარი საერთო არ აქვს. პოლიტიკურად მოტივირებული თემები, არ აქვს მნიშვნელობა, ეს რას ეხება, გავლენას იქონიებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. ცხადია, უარყოფით გავლენაზე ვსაუბრობ. ეს არ არის სწორი გზა. წინასაარჩევნო პერიოდი ყველგან, მით უფრო ჩვენნაირი გარდამავალი დემოკრატიის სახელმწიფოებში, სადაც სამოქალაქო კულტურა ნაკლებია, პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაბალი ხარისხია, საშუალებას იძლევა, რომ წინასაარჩევნოდ ისეთი თემების აქტუალიზაცია მოხდეს ან შეირჩეს, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე საზოგადოების ყურადღების გადატანა მოხდეს. ასეთი თემები საზოგადოებას, როგორც იტყვიან, გულს მოჰფხანს და ორთქლს გამოაშვებინებს, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსები იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ ეს შეიძლება დემოკრატიის დამაზიანებელი იყოს, ქვეყნის იმიჯის დამაზიანებელი აღმოჩნდეს, ამას არად დაგიდევენ! ეს არის პრობლემა.

არ შეიძლება ადამიანების ემოციებზე თამაში. ეს საშიში შეიძლება აღმოჩნდეს. ეროვნულ, ქართულ იდენტობასთან კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის მიწებება და შემდეგ ასეთი თემებით მანიპულირება ყოვლად დაუშვებელია. „ქართველობის შენარჩუნება“ თუნდაც მსგავსი კანონპროექტებით არათუ მიუღებელია, დაუშვებელია. ეს პროცესი თუ გაგრძელდა, გულწრფელად თუ გეტყვით, საზოგადოებას ის ვერაფერს ავნებს და დამაზიანებელი ვერ იქნება, მაგრამ დამაზიანებელი იქნება თავად პოლიტიკოსებისთვის, რადგან მათ მოუწევთ პასუხისმგებლობის აღება იმაზე, რაც შეიძლება ამას მოჰყვეს.



***— მართლაც შეიძლება ეს კანონპროექტი კანონად იქცეს და პარლამენტმა მიიღოს?***

— თუ მიიღეს და კანონად აქციეს, მე ვვარაუდობ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით დიდი პერსპექტივა არ აქვს.

***— ფიქრობთ, საკონსტიტუციო სასამართლოში ვინმე გაასაჩივრებს ამ ნორმას?***

— ცხადია, რადგან ორმაგი ინტერპრეტაციის მატარებელი ნორმების არსებობა შეუძლებელია. მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს ფურცელზე გადატანილი იდეები არსებითად შეიცვალოს ან საერთოდ მსვლელობაც კი არ მიეცეს.

***— ბატონო ლევან, რეჟისორები, მწერლები ამბობენ, რომ ეს იქნება საბჭოთა ცენზურის დაბრუნება, რადგან, თუნდაც მოსამართლე რამდენად განსაზღვრავს, მაგალითად, რეჟისორმა ეროტიკა გადაიღო თუ პორნოგრაფია? კანონპროექტში რელიგიურ გრძნობებზეც არის საუბარი.***

— გამოხატვის თავისუფლება დაცულია საერთაშორისო კონვენციებით, რომელსაც საქართველოა შეერთებული. მიუხედავად იმისა, კანონში რა იქნება ჩაწერილი და რა არა, ამგვარ აკრძალვას რეალობაში პერსპექტივა არ აქვს. ის რეალურად ვერ აიკრძალება.

***— თუ დაკანონდა?***

— არაერთი საქმე არსებობს, სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ძალიან ცნობილი საქმეები, რომლებიც სწორედ ამ შემოქმედებითი საქმიანობის შეზღუდვებს ეხება და ყველა საქმე მოგებულია, მათ შორის არის საქმეები, რომლებიც სწორედ რელიგიურ გრძნობებს ეხება. ვილაც დეპუტატებს თავში აზრად რა მოუვათ, ასე მარტივად არ არის ამ იდეებისთვის ხორცის შესხმა, რადგან არსებობს საერთაშორისო სამართლის ნორმები და ინსტიტუტები, რომლებიც იცავს საქართველოს მოქალაქეებს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება ხელისუფლებაში.

***— თუმცა შიდა კანონს ხომ აქვს ძალა.***

— რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ ეს ყველაფერი მე, მაგალითად, შეუძლებელი მგონია. სწორია საზოგადოების წუხილი, პროტესტი, შეფასებები, რომ არ დავთმობთ თავისუფლებას, მაგრამ, არა მგონია, ასე მარტივი იყოს.

***— ბესელიამ განაცხადა, კარგად ვერ გაიგო საზოგადოების ამ ნაწილმა კანონპროექტის არსი, რადგან კონსტიტუციასთან შესაბამისობაში, ჰარმონიაში მოგვყავსო.***

— რომელ კონსტიტუციასთან, რომელიც ჯერ არ ამოქმედებულა და შემოდგომაზე რომ უნდა ამოქმედდეს?! წმინდა იურიდიულად კონსტიტუცია პირდაპირი მოქმედების აქტია, შესაბამისად, თუ მასთან რამე აქტი შესაბამისობაში ვერ არის და ბევრია ასეთი, ამ შემთხვევაში კონსტიტუციის ნორმა გამოიყენება.

ამ დეპუტატებს შევახსენებ, რომ მათ კანონი აქვთ მისაღები სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებით და ამაზე რატომ არ წუხან?! მოზაიკასავით ლაგდება ეს ყველაფერი, წინასაარჩევნოდ ადამიანების ემოციებზე თამაშია, პოლიტიკური ლოიალობის მოპოვება და სხვა არაფერი.

***— თუმცა ადამიანები სოციალურ ქსელებში წერენ, რომ თავისუფლებას გვართმევენ და როგორ შეიძლება, ეს წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი იყოს? ადამიანებმა იციან, რას ნიშნავს ცენზურა და რამდენად შეიძლება, ეს მომგებიანი თემა იყოს?***

— საერთო კონტექსტს თუ განვიხილავთ, ეს ყველაფერი მაინც ჯდება მანიპულაციის, ემოციებზე თამაშის, განწყობებზე ზემოქმედების პროცესში. სამართლიანად იხსენებენ საზოგადოებრივი ჯგუფები იმ მძიმე საბჭოთა წარსულს, თუმცა საქართველოში საბჭოთა კავშირის აღდგენა შეუძლებელია, მერწმუნეთ. ცენზურა ცოტა სხვა რამეს ნიშნავს. ცენზურა არის წინასწარ კონტროლი. დღის სინათლეს ვერ იხილავდა ესა თუ ის ნაწარმოები, ვერ გამოიცემოდა. აქ უკვე შექმნილის გავრცელებაზეა საუბარი.

***— მაგრამ 21-ე საუკუნეში ადამიანებს სასამართლოში თუ მოუხდათ სირბილი?***

— გასაგებია, რა თქმა უნდა, ეს არ არის ახლოს იმ სტანდარტთან, რომელსაც დემოკრატია ჰქვია, რომელსაც თანამედროვე დემოკრატია ჰქვია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ეტაპიც გასავლელი გვაქვს. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ევროასოცირებაზე აქვს ხელი მოწერილი.

კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ორ მხარეს შორის დავაზე კი არ არის საუბარი, არამედ ნებისმიერს შეეძლება სასამართლოში ამ ნორმის გასაჩივრება, ამიტომ ეს მექანიზმი, რომელიც კანონპროექტის ავტორებმა შემოგვთავაზეს, ვერ იმუშავებს.

***— ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტი დღეს რეგულირებადია?***

— არა, არ არის. ტვინების გამორეცხვა და საბჭოთა წარსული უკან მოვიტოვეთ. შემოქმედებითი პროცესის თავისუფლებაში ჩარევა შეუძლებელია. ამას იცავს კონსტიტუცია და საერთაშორისო ნორმები.

# „მარგველაშვილი და კვირიკაშვილი პოსტების შენარჩუნებას რუსეთის დახმარებით ცდილობენ“

## „საქართველო მალე საჰარის უდაბნოდ გადაიქცევა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ დაუტკბა საქართველოს ხელისუფლება რუსეთს, ვინ, როგორ და რისთვის ცდილობს ხალხის საპროტესტო განწყობის გამოყენებას, ვინ თესავს ანტიდასავლურ განწყობებს ქვეყანაში? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.



ბეჟან ნათელაშვილი: „რუსეთი ტერიტორიებს გვახევს. ესენი დახეული ჯინსების აკრძალვას ითხოვენ“

**ბეჟან ნათელაშვილი:**

— 17 მაისს თბილისში უზარმაზარი მსვლელობა გაიმართა. ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. მოგეხსენებათ, რამდენიმე წლის წინ 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღედ გამოცხადდა. წლეულს ათეულობით ათასმა კაცმა გამართა მსვლელობა ოჯახური სიწმინდის დასაცავად.

უცებ წარმოვიდგინე, რომ ამდენი ადამიანი ქუჩაში ქვეყანაში არსებული უსამართლობის გასაპროტესტებლად გამოვიდა. შეშინებული ხელისუფლება კურდღელივით დაიხევდა უკან და უამრავი პრობლემა მოგვარდებოდა.

ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი ხალხი პოლიტიკურად ვერ გაიზარდა. ოჯახი მართლა ძვირფასია და მას დაცვა სჭირდება, მაგრამ არა ასეთი ფორმით. საქართველოში ისე მიმდინარეობს მოვლენები, რომ მალე ოჯახებს ფიზიკურად გადარჩენის პრობლემა დაუდგებათ.

ქვეყანაში არ იქნება ახალი სამუშაო ადგილები. ყველაფერს ეს ქოცები არიან დაპატრონებული. ხალხს, ელემენტარულად, პურის ფული არა აქვს. ამ დროს ოჯახის სიწმინდის დაცვაზე კი არ უნდა ილაპარაკო, ოჯახების ფიზიკური გადარჩენისთვის უნდა იყოს ბრძოლა.

***— ამ აქციაზე, რომელიც თქვენ ახსენეთ, საუბარი იყო დახეულ ჯინსებზეც. აქციის ერთ-ერთი მონაწილე აცხადებდა, რომ დახეული ჯინსებით სიარული დაუშვებელია. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

— დახეულ ჯინსებზე თუ მეკითხებით, მე არ მომწონს, ახალგაზრდებს ასე რომ აცვიათ. პირადად მე არასდროს ჩავიცვამ ასეთ ჯინსს. ამის მიუხედავად, თავს უფლებას არ მივცემ, მოვითხოვო, რომ ასეთი ჩაცმა აიკრძალოს.

მიმაჩნია, რომ ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც თავად მოესურვება. მთავარია, ეს კანონთან წინააღმდეგობაში არ მოვიდეს.

რაც შეეხება დახეული ჯინსების აკრძალვის იდეას, ვერანაირად დავეთანხმები, არავის აქვს უფლება, სხვებს რამის ჩაცმა აუკრძალოს. ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, მაგრამ, როცა რუსეთი მიწებს გახევს, იქ რა დროს დახეული ჯინსებია.

ეტყობა, ჩვენი საზოგადოება კარგად ვერ აცნობიერებს იმ საფრთხეებს, რომელთა წინაშეც ქვეყანა დგას. რუსები საზღვარს აქეთ გვიწევენ და ჩვენი ტერიტორიებიდან ჩვენს მოქალაქეებს იტაცებენ. უმძიმეს სოციალურ პირობებს ეკოლოგიური კატასტროფაც ემატება. ამ დღეებში ჩვენი პარტიის ლიდერები ხარაგაულის რაიონში იმყოფებოდნენ, სადაც კატასტროფული სურათი დახვდათ.

საქართველო ხეებისა და ოცნეების სასაფლაოდ აქციეს. სამაგიეროდ, თავად აიხდინეს ოცნებები.

ბიძინა ივანიშვილმა მდინარეები აღარ დაგვიტოვა, ყველა მილებში მოაქცია და ჰესებში გაუშვა. ისეთი ვითარებაა, რომ ერთ დღესაც მთელი დასავლეთ საქართველო თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდება.

ხეებსაც შავი დღე უდგათ, ზოგი ან ბიძინას პარკში გადაიტანეს, ან გაჩეხეს, რადგანაც ოლიგარქის ხუშტურის ასრულებას უშლიდა ხელს. ასეთი ტემპებით თუ გააგრძელეს, მალე საქართველო საჰარის უდაბნო გახდება. ამაზე ხმას არ იღებენ და დახეულ ჯინსებზე ალაპარაკდნენ.

***— დახეული ჯინსების თემამ საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია. ამბობენ, რომ ეს თუ გაუვიდათ, მალე შეიძლება ქალებს ჩადრების ტარება მოსთხოვონ. თქვენი აზრით, ირანიზაცია ხომ არ გვემუქრება?***

— არა, ირანიზაცია არ გვემუქრება. ვილაცები ასეთი განცხადებებით ცდილობენ თავის დამკვიდრებასა და ყურადღების მიპყრობას. მინდა იცოდეთ, რომ ამას უსასყიდლოდ სულაც არ აკეთებენ.

***— რას გულისხმობთ?***

— იმას, რომ მათ ჰყავთ სპონსორები.

***— რა მიზანი ამოძრავებთ ამ სპონსორებს?***

— უნდათ, რომ საქართველოში ანტიევროპული განწყობები გაიზარდოს. ვილაცას აშკარად არ სურს, საქართველო ევროპის ნაწილი გახდეს.

ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი და მათი ემისრები ცდილობენ, ევროპა გარყვნილების ბუდედ წარმოაჩინონ. საქართველოში ძალიან ბევრი ჰომოფობი ცხოვრობს. რუსეთიდან მართული ძალები ამტკიცებენ, რომ სექსუალურ უმცირესობებს დასავლეთი მფარველობს.

ევროპის მიმართ ხალხს ე.წ. პროდასავლური ძალებიც განაწყობენ. ისინი გამოდიან და ევროპის სახელით მხარს უჭერენ სექსუალურ უმცირესობებს. ისინიც რუსეთის დავალებას ასრულებენ და ხალხს ანტიევროპულად განაწყობენ.

***— თქვენი აზრით, გაზრდის ეს საქართველოში ანტიევროპულ განწყობას?***

— ვილაცა აუცილებლად წამოეგება ანკესზე, მაგრამ მთლიანობაში სურათი არ შეიცვლება. ჩვენს მოსახლეობას კარგად ახსოვს, რომ რუსეთი ოკუპანტია. აფხაზეთი და სამაჩაბლო მათ მოგვტაცეს და არა ამერიკა-ევროპამ.

***— რუსეთი ვახსენეთ და რას იტყვით გიორგი მარგველაშვილისა და გიორგი კვირიკაშვილის სახეცვლილებაზე? ორივე მათგანი ამბობს, რომ რუსეთთან დიალოგი სურთ.***

— კვირიკაშვილიც და მარგველაშვილიც ასრულებენ თავიანთი ბატონის დავალებას. ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველო რუსულ ორბიტაზე დააბრუნოს.

ამ მისიის შესასრულებლად ოლიგარქმა ნამხედრიონალი პატრიოტთა ალიანსიც გამოიყენა და ისინი კიდევ ერთხელ აფრინა მოსკოვში.

მართალია, რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ მას მაინც უნდა დაველაპარაკოთ, ოღონდ ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ერთად. მოსკოვთან ერთი-ერთზე საუბარი საქართველოსთვის წამგებიანია.

მარგველაშვილისა და კვირიკაშვილის სახეცვლილებას სხვა ახსნაც აქვს. ორივე მათგანს ძალიან უნდა თანამდებობაზე დარჩენა, ამიტომ ენის მოჩლექით დაიწყეს საუბარი რუსეთზე, ცდილობენ, მოსკოვის დახმარებით შეინარჩუნონ პოსტები.

# თამარ ჩხეიძე: „ბოლოდროინდელი პროცესები მართულია ხელისუფლების მიერ“

## „ლგბტ თემით გარკვეული ჯგუფები ცდილობენ დემოკრატიული ფასეულობების დისკრედიტაციას“

მარიამ მჭედლიშვილი

იმის გამო, რომ ლგბტ საზოგადოებამ გადაიფიქრა აქციის გამართვა 17 მაისს, ოპონენტებმა გააკეთეს განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველოში იზღუდება გამოხატვის უფლება. მათი აზრით, 13 მაისს პარლამენტთან მდგარი პროტესტანტების ნებაყოფლობითი დაშლაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაა. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატ თამარ ჩხეიძეს.

**თამარ ჩხეიძე:**

– 17 მაისს არსებობდა შეტაკების საფრთხე. როგორც ჩანს, ამ აქციის გამართვა ამის გამო ჩაიშალა. ამაში საგანგაშო არაფერია. დამაფიქრებელია სხვა რამ – ბევრი მოვლენა ხელოვნურად ვითარდება და ამას მოსდევს არასახარბიელო პროცესები. გარკვეული ძალები ცდილობენ დემოკრატიული დასავლური ფასეულობების დისკრედიტაციას.

***– ადრეც გითქვამთ, რომ ამაში წვლილი მიუძღვით როგორც რეაქციულ ანტიდემოკრატიულ ძალებს, ისე რადიკალურად განწყობილ ვითომ ლიბერალურ ძალებს.***



– ლგბტ საზოგადოების, ნებისმიერი მოქალაქის უფლებები რომ დაცული უნდა იყოს, ეს უდავოა. ნამდვილი დემოკრატია და ლიბერალიზმი გულისხმობს ყველას უფლებების დაცვასა და ყველას გამოხატვის თავისუფლებას. ეს ეხება როგორც სექსუალურ უმცირესობებს, ისე იმათ, ვინც უმრავლესობას მიეკუთვნება. დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალადობა კატეგორიულად დაუშვებელია.

***– ჩვენს საზოგადოებას ძალადობა ახასიათებს?***

– არიან აგრესიული დაჯგუფებები, რომლებისთვისაც ფიზიკური ძალადობა განსხვავებული ადამიანების მიმართ ჩვეულებრივი ამბავია. ზოგიერთი მათგანი ხელისუფლებიდან იმართება. ლგბტ პირების უფლებების ბევრი დამცველისთვისაც დამახასიათებელია ფსიქოლოგიური ძალადობა. ისინი მარგინალად აცხადებენ ყველას, ვინც აღფრთოვანებული არ არის ჰომოსექსუალიზმით. ეს ლიბერალიზმის დამახინჯებული ფორმაა. გამოხატვის უფლება ძალადობის გარეშე უნდა ჰქონდეს ყველას.

***– ეს ყველაფერი ვნებს დასავლური ღირებულებების გავრცელებას?***

– რასაკვირველია. ევროპული ფასეულობები ყველას უფლებების დაცვა, თავისუფლება და არაძალადობაა. ჩვენთან ისეთი აგიტაცია მიდის, რომ ხალხმა დასავლეთის ასოცირება ლგბტ თემებთან მოახდინოს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ძალადობა საზოგადოების არცერთ წევრზე. არც გამოხატვის უფლება უნდა შეიზღუდოს, მაგრამ არც ისეთი მოქმედებები ვარგა, რასაც ერთმანეთისგან განსხვავებული ჯგუფები აკეთებენ.

***– რატომ ხდება პროცესების ხელოვნურად გამწვავება?***

– ჯერ ერთი, ვიღაცას უნდა იმის ჩვენება, თითქოს საქართველოში უმცირესობები იდევნებიან. თანაც, საქართველოში ვითარდება მსოფლიოში დაწყებული ტენდენცია, რომლის თანახმად, ჰომოსექსუალიზმი ჩვეულებრივი გავრცელებული მოვლენაა. ამას ემატება ხალხის სხვა ნაწილის აგრესია. ის, რაც 2013 წლის 17 მაისს თბილისში მოხდა, დიდი სიმახინჯე იყო – ხალხის მასა დაერია ლგბტ პირების ერთ ჯგუფს. აგრესიული მართული დაჯგუფებები რამდენიმე დღის წინ, 13 მაისს გამოჩნდნენ თბილისის ცენტრში, როცა პარლამენტთან სხვა ჯგუფი აქციას მართავდა ღამის კლუბებში პოლიციის რეიდის წინააღმდეგ. პოლიციის სპეცოპერაცია, თუ ის არასწორად ჩატარდა, შეიძლება დაიგმოს. გამოხატვის უფლება ამასაც გულისხმობს, მაგრამ ჩვენი საზოგადოების რეაქცია ამა თუ იმ მოვლენაზე შესაბამისი და თანაზომადი არ არის.



***– უფრო მნიშვნელოვან პრობლემებზე პროტესტს არავინ აცხადებს?***

– სწორედ ამის თქმა მინდოდა. როცა რუსეთი მიწებს გვართმევს ან როცა პანკისში სპეცოპერაციის დროს ლოგინში კლავენ ახალგაზრდა ბიჭს, ეს ის საშინელებაა, რომლის გამოც მთელი საქართველო ერთად უნდა დამდგარიყო. ოკუპანტის წინააღმდეგ და მაჩალიკაშვილის მკვლელობის გამო ხალხი ამ რაოდენობით არ გამოსულა. სპეცოპერაციას ღამის კლუბებში შეიძლება ახლდა დარღვევები, მაგრამ ის მსხვერპლით მაინც არ დასრულებულა. პარლამენტთან შეკრებილი ახალგაზრდები წარამარა ახსენებდნენ თავისუფლების დაცვას. თავისუფლება სულ სხვა ღირებულებაა და ამ ადამიანებს ცნებები ერთმანეთში აერიათ.

***– საზოგადოებაში არსებული დაპირისპირება დამაზიანებელია ქვეყნისათვის?***

– რადიკალიზაცია, ცნებების აღრევა, ძალადობრივი პრორუსული მართული ჯგუფების არსებობა ზიანს აყენებს ქვეყანას. ჰომოსექსუალიზმის თემას პირდაპირ აბამენ დასავლეთთან. არადა, ეს მოვლენა საკაცობრიოა და არა ევროპული. ამ დამახინჯებულ ინტერპრეტაციებს კარგად იყენებენ რეაქციული პრორუსული ჯგუფები დასავლეთის დისკრედიტაციისთვის. რუსული ნარატივი, გარდა სოციალური საკითხისა, ამაზეც დგას. რუსული პროპაგანდის თანახმად, ხალხი საბჭოთა ეპოქაში ყველაფრით უზრუნველყოფილი იყო, დღეს კი, სიდუხჭირესთან ერთად, დასავლეთიდან გარყვნილება შემოდის. ხალხს ტვინს ურეცხავენ ამ რუსული პროპაგანდით.

***– აზრთა სხვადასხვაობაა იმაზე, თუ ვინ დარჩა ქართველი პოლიტიკოსებიდან მოგებული 12-13 მაისის მოვლენებით.***

– აშკარაა, რომ ეს პროცესები თავიდანვე პროვოცირებული და მართული იყო. ეს უკავშირდება მოვლენებს მმართველი გუნდის შიგნით. ხელისუფლებაში მიმდინარე ინტრიგებში ჩახედული არა ვარ. დეტალურად ვერ ვისაუბრებ. იმის თქმა კი შეიძლება, რომ პროცესები სპონტანურად არ განვითარებულა.

# რომან გოცირიძე: „ხელისუფლება კონსტიტუციას ვერ იცავს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის ლიდერი **რომან გოცირიძე** პასუხობს.

***– ბატონო რომან, თქვენ მთავრობას ადანაშაულებთ, ვერ იცავს კონსტიტუციასო და ცინიკურს უწოდებთ ხელისუფლების განცხადებას, რომ ის ნებისმიერ ჯგუფს დაიცავს ძალადობისგან. რა არის ამაში ცინიკური?***

– მთავრობა ამაყობს, რომ აი, რა მაგრები ვართ, ყველგან პოლიციელები დავაყენეთ და ამ ხალხს ვიცავთ, რომ თავი არ გაუხეთქონ, ტაბურეტკები არ ესროლონ და თურმე როგორ კარგად შეუძლიათ აქციისა და კონტრაქციის რეგულირება, როგორც თვითონ უწოდებენ. არანაირი კონტრაქცია არ არსებობს.

***– აბ,ა ვინ იყო მეორე მხარე? როდესაც არსებობს დაპირისპირებული მხარე, რა უნდა ქნას ხელისუფლებამ, მიუშვას ერთმანეთზე?***

– რა უნდა ქნას და დაპირისპირებული მხარის ლიდერები უნდა დააპატიმროს, რომლებიც ძალადობენ, რომლებიც არიან ფაშისტური ორგანიზაციები, აქვთ ფაშისტური სიმბოლიკა, ჟესტები და ასე შემდეგ. არბევენ ადამიანებს. ძალადობის მუქარა ისჯება სამ წლამდე პატიმრობით. პოლიციის კორიდორებზე შეტევის მიზანი იყო სწორედ იმ ადამიანების დარბევა, რომლებიც მშვიდობიან აქციაზე იმყოფებოდნენ. რადგან მათი მიზანი იყო დარბევა, მათ წინააღმდეგ უნდა გამოყენებულიყო კანონი და არა მხოლოდ მათი დაშორიშორების ოპერაციის ჩატარება.

***– ანუ თქვენ ამბობთ, რომ უნდა დაეპატიმრებინათ ისინი?***

– მაშინ, როდესაც გირჩის წარმომადგენლები ათი დღით დააპატიმრეს პოლიციისათვის წვრილმანი წინააღმდეგობის გაწევისათვის, ეს ხულიგნები 400 ლარით დააჯარიმეს და გამოუშვეს. ეს არის შერჩევითი სამართალი და ეს ნიშნავს პირდაპირ იმას, რომ ეს ხალხი არის ხელისუფლების სპეცდანიშნულების შავი რაზმი, სატელიტი რაზმები, რომლებსაც მიუქსევენ ხოლმე ოპოზიციას. ეს რუსეთში აპრობირებული მეთოდია, ზუსტად ასეთი შავრაზმელები, კაზაკები და ფაშისტები, ასევე მართლმადიდებელი ექსტრემისტები, რომელთა მეშვეობითაც სწორედ ამნაირ აქციებს ახშობენ. ეს რუსული მეთოდი კარგად აითვისა საქართველოს მთავრობამ. თუ აქამდე ამას იყენებდნენ ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ, იყენებდნენ არჩევნების პროცესში, ახლა საზოგადოების საღად მოაზროვნე ახალგაზრდულ ნაწილს ესხმიან თავს.



***– ფიქრობთ, რომ ხელისუფლებამ შექმნა ეს ჯგუფები?***

– შექმნა კი არა, ისინი ხელისუფლების ნაწილი იყვნენ. ზოგიერთი მათგანი მთავრობის წევრიც იყო, მათი ნაწილი იყო და ერთად იყვნენ, სანამ გაიმიჯნებოდნენ. ისინი აკეთებენ ხელისუფლების საკეთებელ საქმეს და ემსახურებიან ხელისუფლებას, აფინანსებენ მათ, მეგობრობენ, ერთად სვამენ და ერთად ჭამენ.

***– რას იტყვით მეორე ჯგუფზე?***

– მეორე ჯგუფი – ეს არის ახალგაზრდობა, რომელიც ითხოვს თავისუფლებას, რომელიც აპროტესტებს პოლიციურ ძალადობას და ამ ახალგაზრდა ჯგუფების გაიგივება ნარკომანებთან და ნარკოგამსაღებლებთან მთავრობის კიდევ ერთი დანაშაული და მზაკვრული ხრიკია. 8 წვრილფეხა რეალიზატორი დაიჭირეს ამ საპოლიციო აქციის შემდეგ, როდესაც საქართველოში შემოდის ტონობით ნარკოტიკი. საიდან შემოდის, რა გზებით, ვინ არიან მთავარი დისტრიბუტორები? ეს კითხვები პასუხგაუცემელია და ამ ფონზე ამ ახალგაზრდების დემონიზებას ახდენენ. იმ დღეს იყო კორიდორები გაყოფილი ორ ნაწილად. ერთი იყო ნათელი მხარე, მეორე – ბნელი მხარე.

***– ნათელი მხარე ის ახალგაზრდობა იყო?***

– დიახ, ერთ მხარეს იყო ნათელ, ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდობა, თანაბრად გოგონები და ბიჭები, გენდერული ბალანსიც კი დაცული იყო და მეორე მხარეს იყო შაოსან ადამიანთა, 100%-ით მამაკაცთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომლის მთავარი მიზანი იყო მოწინააღმდეგე მხარის განადგურება! ამ დამნაშავეების დასჯის ნაცვლად მინისტრი ითხოვს აპლოდისმენტებს მშვიდობის მტრედის როლის თამაშის გამო.

***– 17 მაისის აქციაზე რას იტყვით?***

– ეს არის ხელისუფლების დანაშაული. ხელისუფლება ვერ იცავს კონსტიტუციას. მთავრობა უნდა იყოს კონსტიტუციის გარანტი, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები – გამოხატვის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, დემონსტრაციების თავისუფლება. ფაქტობრივად, მოხდა ამ უმცირესობების დაშინება. ამ დამსჯელი ზონდერების მეშვეობით და აგრესიული ეკლესიის წარმომადგენლების გამო ადამიანებს ეშინიათ ქუჩაში გამოსვლა და საკუთარი აზრის დაფიქსირება. სწორედ ამ შიშის გამო შეილახა ამ ადამიანების კონსტიტუციური უფლებები.

***– ფიქრობთ, რომ შიშის გამო დაიხიეს უკან?***

– რა თქმა უნდა! დააშინეს. ამ ხალხს ახსოვს ის შედეგი, რომელიც მოხდა ერთხელ უკვე და ამ შავმა ტაბურეტკიანებმა რაც ჩაიდინეს. ტაბურეტკებით დასდევდნენ ამ ხალხს ყველგან და მთავრობას კი არავინ დაუსჯია მაშინ ამის გულისთვის. დღესაც ამიტომ იყურებიან მუშტებსა და ტაბურეტკებზე. დღეს კი იმით ამაყობს მთავრობა, რომ ტაბურეტკიანებმა თავი არ გაუხეთქეს მეორე მხარეს, ითხოვენ მადლობის თქმას, ნაცვლად იმისა, რომ არასდროს გაბედონ მსგავსმა ადამიანებმა მსგავსი ქმედება და დაისაჯონ უმკაცრესად. სწორედ ამ დაუსჯელობის სინდრომმა განაპირობა ის, რაც დღეს ხდება! განაპირობა მათი გათავხედება, ადამიანებს უშლიან ქუჩაში გამოსვლასა და აზრის გამოხატვის უფლებას.

***– მართლმადიდებელმა ეკლესიამ ქუჩაში მსვლელობითა და დიდი პომპეზურობით აღნიშნა ოჯახის სიწმინდის დღე. ამ სიმრავლის შეეშინდათ უმცირესობის წარმომადგენლებს?***

– შეეშინდათ, რადგან იყო პირდაპირი მუქარები. ამ პროცესის წახალისება ეკლესიის მხრიდანაც მოხდა. სწორედ რომ ეკლესიამ წააქეზა, ეკლესიამ განცხადება გააკეთა სწორედ ამ მეორე, აგრესიული ჯგუფის სასარგებლოდ.

***– რით გამოიხატებოდა ეს წაქეზება?***

– ამ განცხადებაში არაორაზროვნად იყო ნათქვამი, რომ ეს კონტრაქცია განპირობებული იყო იმ ადამიანების უწესო ქცევით. თითქოს ეს ფაშისტური მხარე იძულებული გახდა, დაეცვა ქართველობა. თითქოსდა ამ ახალგაზრდებმა ვიღაცის ფაქიზ გრძნობებზე ითამაშეს, შეურაცხყოფა მიაყენეს და ამათაც რა უნდა ექნათ? ვერ მოითმინა ხალხმა! უმცირესობა გამოვიდა დაჩაგრული, მათ არ მიეცათ გამოხატვის საშუალება. ისინი ემუქრებიან ყველას, პოლიტიკურ ჯგუფებსაც, ამ ახალგაზრდებსაც, ყველას, ვინც ამა თუ იმ ფორმით ხელს შეუშლის ივანიშვილის ძალაუფლების შენარჩუნებას.

# დიმიტრი ლორთქიფანიძე მედვედევთან დაკავშირებული ორგანიზაციის დირექტორი გახდა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, ახალი ერთობის, ე.წ. „ეროვნულ ძალთა შეთანხმების“ უკან რუსული კვალი ჩანს. TI-ის ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ ნინო ბურჯანაძის ყოფილი თანაგუნდელი და ე.წ. ქართული მარშის ლიდერების თანამოაზრე დიმიტრი ლორთქიფანიძე რუსეთის ყოფილ პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან დაკავშირებული ორგანიზაციის დირექტორად დაინიშნა.

ახალი ერთობის ერთ-ერთმა ლიდერმა, დიმიტრი ლორთქიფანიძემ ორი თვის წინ განაცხადა, რომ ნინო ბურჯანაძის პარტიას, „დემოკრატიულ მოძრაობას“ ტოვებს, პოლიტიკაში შესვენებას იღებს და სამოქალაქო სექტორში გადადის.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, რამდენიმე დღით ადრე ლორთქიფანიძე „ე.მ. პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ დირექტორი გახდა. აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება ცენტრის ოფიციალურ რუსულენოვან გვერდზეც. TI-ის ინფორმაციით, ეს ორგანიზაცია 2013 წლის 21 აგვისტოს „საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტმა“ და „გორჩაკოვის სახელობის საჯარო დიპლომატიის მხარდაჭერის ფონდმა“ დააფუძნა. მათივე ცნობით, გორჩაკოვის ფონდი 2010 წელს რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის ბრძანებით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შექმნა.

– გორჩაკოვის ფონდი რუსეთის რბილი ძალის გავრცელების ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომლის წესდების მიხედვითაც, ფონდის მიზანია სამეცნიერო, კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამების დახმარება საერთაშორისო ურთიერთობებში, მასობრივი ინფორმაციებისა და ინფორმაციული რესურსების საშუალებების მხარდაჭერა, საზღვარგარეთ რუსეთისთვის ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, საზღვარგარეთ რუსეთის ინტელექტუალური, კულტურული, სამეცნიერო და საქმიანი პოტენციალის წინ წაწევა, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა სამამულო, უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, – წერია TI-ის კვლევაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევით, პრიმაკოვის ფონდი აფინანსებს რუსული ენის უფასო კურსებს საქართველოში, ასევე, სპორტულ, კულტურულ და სხვა სახის ღონისძიებებს:

„თუმცა დიმიტრი ლორთქიფანიძის პოლიტიკიდან წასვლა და „ქართული მარშის“ ლიდერად გამოჩენა საეჭვოდ ემთხვევა პრიმაკოვის



ფონდში მის დირექტორად დანიშვნას და აძლიერებს საფუძვლიან ეჭვს, რომ ნეონაცისტური ძალების გააქტიურება სწორედ რუსულ ინტერესებში შედის.

„ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ ერთ-ერთმა წევრმა ნატალია წერეთელმა 2013 წელს პარტია „თავისუფალ საქართველოს“, ჯამში, 1.228 ლარი შესწირა. „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავაა. 2017 წელს დემოკრატიულმა მოძრაობამ (ნინო ბურჯანაძე) და თავისუფალმა საქართველომ (კახა კუკავა) საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად დიმიტრი ლორთქიფანიძე წარადგინეს.“

TI-ის ცნობით, პრიმაკოვის ფონდში დიმიტრი ლორთქიფანიძემ დირექტორის პოზიციაზე ურუზმაგ ქარქუსოვი ჩაანაცვლა, რომელიც სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის პრემიერ-მინისტრი იყო. მათივე ინფორმაციით, ურუზმაგ ქარქუსოვი 2007 წლიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის პოსტზეც მუშაობდა:

„ის თანამდებობიდან 2010 წელს გაათავისუფლეს. ურუზმაგ ქარქუსოვი მაშინ აცხადებდა, რომ მისი გათავისუფლება პოლიტიკურ მოტივს უკავშირდებოდა. მისი მეუღლე, ნანა ყეინიშვილი 2012-2016 წელს „ქართული ოცნების“ სიით პარლამენტის წევრი იყო, ხოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნანა ყეინიშვილი და ურუზმაგ ქარქუსოვი „ჩვენები-სახალხო პარტიის“ სიით იყრიდნენ კენჭს“.

## პატრიარქის მოსაყდრე: „ოჯახური სიწმინდე შეირყა“





საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქ ილია მეორის მოსაყდრის, მეუფე შიოს განცხადებით, ქვეყანაში განქორწინებების მაჩვენებელი საგანგაშოა და მოქალაქეებმა უნდა იზრუნონ, რომ ოჯახები შეინარჩუნონ.

– ყოფიერების ფორმა, რასაც ოჯახი ჰქვია, ასეთად შექმნა ღმერთმა ადამიანი, რადგან ოჯახი, ოჯახური სიწმინდე და ოჯახური ცხოვრება არის მთავარი გზა ადამიანებისთვის, თუნდაც ზეცად ამაღლებისთვის. ეს სიწმინდე შეირყა. ჩვენ გვესმის სხვადასხვა ქვეყნებში ანტიოჯახური ღირებულებების პროპაგანდა, დაკანონება. ჩვენს ქვეყანაშიც განშორებების სტატისტიკა საგანგაშოა და უნდა უზრუნველყოთ რომ ოჯახი ავაღორძინოთ და შევინარჩუნოთ. ამის დაკარგვით ჩვენ ერს და იდენტობას ვკარგავთ, – აცხადებს მეუფე შიო.

მეუფე შიომ ოჯახის შესახებ 17 მაისს ოჯახის სიწმინდის დასაცავად საპატრიარქოს მიერ ორგანიზებული მსვლელობის დროს განაცხადა.

17 მაისი ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. თუმცა, 2014 წლიდან საპატრიარქომ ეს დღე ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა.

## პატრიარქი: „ინებოს უფალმა, რომ კურთხეული და ამაღლებული იყოს ქართველი ხალხი“



– ინებოს უფალმა, რომ კურთხეული და ამაღლებული იყოს ქართველი ხალხი, – ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში პარაკლისის დასრულების შემდეგ ქადაგებისას.

– გილოცავთ ამაღლების დიდ დღესასწაულს. ინებოს უფალმა, რომ კურთხეული და ამაღლებული იყოს ქართველი ხალხი, სრულიად საქართველო. დალოცვილი იყავით, დღეს ბედნიერი დღეა, ოჯახის სიმტკიცის დღეა. განამტკიცოს უფალმა ჩვენი ოჯახები, ჩვენი შვილები. კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, – განაცხადა უწმინდესმა.

პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში პარაკლისი პატრიარქის მოსაყდრე მეუფე შიოსთან და სხვა მღვდელმთავრებთან ერთად გადაიხადა. ტაძარში იმყოფებიან სხვადასხვა გვარების წარმომადგენლები საკუთარი საგვარეულო ხატებითა და მრავალშვილიანი ოჯახები.

ოჯახის სიწმინდესთან დაკავშირებით მსვლელობაში მონაწილეებმა სამების საკათედრო ტაძარში აწყურის ღვთისმშობლის, უფლისა და სხვა ხატები მიაბრძანეს.

## აკაკი ზოიძე: „სამედიცინო პერსონალის მიმართ მედიაში ხშირად იმართება ღია სასამართლოები და ლინჩის წესით გასამართლება“



– სამედიცინო პერსონალის მიმართ მედიაში ხშირად იმართება ღია სასამართლოები და ლინჩის წესის გასამართლება ისე, რომ არ ველოდებით არც ექსპერტიზის დასკვნასა და არც სასამართლოს გადაწყვეტილებას, – განაცხადა პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში „საქართველოს კლინიკების ასოციაციების“ საკანონმდებლო წინადადების შეფასებისას. ზოიძის თქმით, მედიაში სამედიცინო საკითხების ობიექტურად გაშუქების პრობლემაა, თუმცა, მისივე თქმით, ეს ეთიკის კოდექსმა უნდა დაარეგულიროს და არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსმა.

– მედიცინა არ არის ზუსტი მეცნიერება, მედიცინა გახლავთ ხელოვნება და მეცნიერება ერთად, რადგანაც იქ არის ადამიანის უდიდესი ფაქტორი. რაც არ უნდა ბრწყინვალე ექიმი იყოს, ყოველთვის შესაძლებელია შეცდომა. მაგრამ როდესაც სავარაუდო გადაცდომა ხდება, ამას სჭირდება დადგენა. ვიდრე ეს დადგინდება, ხშირ შემთხვევაში პირდაპირ ხდება სამედიცინო პერსონალის ჯვარზე გაკვრა და დადანაშაულება. შეშინებული ექიმი შეიძლება პოტენციური მკვლელი აღმოჩნდეს იმის გამო, რომ ზეწოლაა მასზე. ისეთ სიტუაციაში, სადაც პაციენტის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ბედს წამიერი გადაწყვეტილება შეიძლება წყვეტდეს, შეშინებული ექიმი ამ შემთხვევაში არის ძალიან ცუდი დამხმარე. სამედიცინო დონეზე ეს დამოკიდებულება შეიძლება ყველას ბუმერანგივით მოგვიბრუნდეს, თუ მათ თავი დაუცველად იგრძნეს.

მე წინააღმდეგი ვარ ნებისმიერი რეგულაციის, კანონის, თუ ჯარიმის, რომლითაც ჩვენ მედიას ავუკრძალავთ კონკრეტული თემის გაშუქებას. ეს არის თვითრეგულირების თემა: მაგალითად, ჟურნალისტური ეთიკის კოდექსით უნდა დარეგულირდეს. არანაირი ადმინისტრაციული შეზღუდვები არ მიმაჩნია სწორად, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

შეგახსენებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს კლინიკების ასოციაციამ“ პარლამენტში საკანონმდებლო წინადადება წარადგინა, რომლის მიხედვითაც, სამედიცინო საქმიანობის დროს ექიმის მიერ დაშვებული გადაცდომის ან ჩადენილი დანაშაულის შესახებ მასმედიის საშუალებით ღიად საუბარი ექსპერტიზის დასკვნის, სამედიცინო საქმიანობაზე ზემდგომი მარეგულირებელი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გამოიწვევს მედიასაშუალების დაჯარიმებას 1.000 ლარით, განმეორებით შემთხვევაში კი – 2.000 ლარით.

## ექსპერტი ირაკლი სასანია: „ჯანდაცვის სისტემა და სამედიცინო მომსახურება პაციენტის ინტერესებს უნდა იყოს მორგებული“



– ყველაფრის აკრძალვა, რომ მედიაში არ იყოს საუბარი, თუ რა პრობლემებია და პრეტენზიის გამოხატვის საშუალება არ ჰქონდეს ან პაციენტს, ან მის ახლობელს, ეს, არა მგონია, სწორი იყოს, – განაცხადა ექსპერტმა ჯანდაცვის საკითხებში ირაკლი სასანიამ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში „საქართველოს კლინიკების ასოციაციების“ საკანონმდებლო წინადადების შეფასებისას.

მისი თქმით, ჯანდაცვის სისტემა, პირველ რიგში, პაციენტის ინტერესებსა და საჭიროებებზე უნდა იყოს მორგებული და ამის დეფიციტის ფონზე ექიმების უფლებების დაცვის კიდევ უფრო გამკაცრება არასწორია.

– მე ვფიქრობ, რომ ყველაფრის ასე აკრძალვა, რომ მედიაში არ იყოს ლაპარაკი თუ რა პრობლემებია და პრეტენზიის გამოხატვის საშუალება არ ჰქონდეს ან პაციენტს ან მის ახლობელს, ეს, არა მგონია, სწორი იყოს. იქ ბევრი პუნქტია, მაგალითად, ის, რომ არ ჰქონდეთ აყალმაყალისა და ხმაურის უფლება, მაგრამ, თუ პაციენტი უკმაყოფილო იქნება მომსახურებით, თუ გულისხმიერებისა და ყურადღების დეფიციტია, ეს რატომ არ უნდა გაჟღერდეს, არ მესმის.

ჯანდაცვის სისტემა და სამედიცინო მომსახურება, პირველ რიგში, პაციენტის ინტერესებსა და საჭიროებებზე უნდა იყოს მორგებული. ჩვენ ძალიან გადავერთეთ ექიმების უფლებების დაცვაზე, ნაკლებს ვსაუბრობთ და ნაკლები ქმედებებია პაციენტების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. არადა, მთელ ამ სისტემაში მთავარი სწორედ პაციენტია. პირველ რიგში, მოვისმენდი იმას, თუ რა კეთდება პაციენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. ამის დეფიციტის ფონზე კიდევ იმის გამკაცრება, რომ ექიმების და სამედიცინო დაწესებულებების უფლებები და ხელშეუხებლობა ისე იყოს გარანტირებული, რომ საერთოდ ინფორმაციაც არ გამოვიდეს თუ რას აკეთებენ, ეს მგონია, რომ ზედმეტია, – განაცხადა ირაკლი სასანიამ.

## წვრილმან ხულიგნობასა და სამართალდამცავის შეურაცხყოფასა და დაუმორჩილებლობაზე ფულადი ჯარიმები იზრდება

პარლამენტმა დაამტკიცა პროექტი, რომლის საფუძველზეც წვრილმან ხულიგნობასა და სამართალდამცავის შეურაცხყოფასა და დაუმორჩილებლობაზე ფულადი ჯარიმები იზრდება.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შს სამინისტროს მიერ წარდგენილი ცვლილებები გუშინ პარლამენტმა მესამე მოსმენით – 80 ხმით დაამტკიცა.

მიღებული პროექტის თანახმად, საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს არღვევს, გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1.000 ლარამდე, ნაცვლად 100 ლარისა.

გარდა ამისა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის ან სპეციალური პენიტენციარული სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 4000 ლარამდე. მოქმედი ნორმით, აღნიშნული ქმედებებისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 250-დან 2.000 ლარამდე.

# „საერთაშორისო ბაზრებზე ძალიან დიდი, არაჯანსაღი კონკურენციაა“

საქართველოში 1 წლის წინ დაფუძნებულ წყლის მწარმოებელ კომპანია „იწის წყალს“ ექსპორტზე პრობლემები ექმნება. როგორც ცნობილია, კომპანიამ სატესტო რეჟიმში მუშაობა 2017 წლის იანვარში დაიწყო. ქარხანა ამბროლაურში, გურგენიძის ქ. №18 მდებარეობს.




კომპანიის ხელმძღვანელი ვლადიმერ გურგენიძე „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ექსპორტთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს, დაინტერესებაც არის, თუმცა, საქმე ბოლომდე ვერ მიდის. მისი თქმით, პროცესში საკმაოდ აქტიურად არის ჩართული სოფლის მეურნეობის სამინისტროც, თუმცა, შედეგი პოზიტიური მაინც არ არის.

როგორც გურგენიძე განმარტავს, ამჟამად მოლაპარაკებები მიდის რუსულ ჯგუფთან, თუმცა, როგორ დასრულდება პროცესი უცნობია. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ჩინურ კომპანიებთანაც.

– აზერბაიჯანთან გვქონდა მოლაპარაკებები, გავუმზადე 2 კონტეინერი (65 000 ბოთლი). შემდეგ იქაური საბაჟოდან დამირეკეს და ბოთლის უკანა მხარეს აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნილი ეტიკეტი მომთხოვეს. ვინც მე მომელაპარაკა, ეს საკითხი მაშინ არ უთქვამს. პრობლემა შემექნა ამის გამო. გარდა ამისა, საერთაშორისო ბაზრებზე ძალიან დიდი კონკურენციაა, თუმცა, ეს ჯანსაღი არ არის, – აცხადებს გურგენიძე.

მისი ინფორმაციით, მტკნარი წყალი უკვე იყიდება რაჭის რეგიონში და თბილისის რამდენიმე რესტორანში. კომპანია „იწის წყლის“ მიერ წარმოებული პროდუქცია იყიდება როგორც შუშის (ნახევარ ლიტრიანი), ასევე პლასტმასის ბოთლებში (0.33,0.5 და 1.5 ლიტრიანი). რაც შეეხება ფასს, გურგენიძე აცხადებს, რომ კომპანიის გასაყიდი ფასი 0.5 ლიტრიან ბოთლში 0.33 ლარს შეადგენს.

ამბროლაურში მდებარე მტკნარი წყლის ახალ საწარმოში, რომელიც „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფინანსური და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის ფარგლებში შეიქმნა. საწარმოს წარმადობა წელიწადში 10 მილიონ ბოთლს შეადგენს. ამ დროისთვის კი 2 მილიონის წარმადობით მუშაობს.

საწარმოს შექმნისთვის კომპანიამ 800.000 ლარზე მეტი სესხი აიღო, რომლის პროცენტის თანადაფინანსებასაც ეკონომიკის სამინისტროს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს. გარდა ამისა, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში კომპანიას საწარმოს ასაშენებლად ეკონომიკის სამინისტროს ქონების ეროვნულმა სააგენტომ საჭირო მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად გადასცა. პროექტის ჯამური ინვესტიცია 2 მილიონ ლარს შეადგენს.

# რომეო მიქაუტაძე: „განახლებადი ენერგიების ადგილობრივი რესურსების ათვისება ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია“

– განახლებადი ენერგიები და მათი ათვისება უპირველესია ქვეყნის ენერგეტიკის განვითარებისთვის. ადგილობრივი რესურსების ათვისება და გამოყენება რჩება ქვეყნის პრიორიტეტად, რომელიც, თავისი მხრივ, ენერგეტიკული დამოუკიდებლობის წინაპირობაცაა, – განაცხადა მისასალმებელ სიტყვაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ რომეო მიქაუტაძემ საერთაშორისო კონფერენციაზე „განახლებადი ენერგეტიკის განვითარება საქართველოში“.



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ მადლობა გადაუხადა გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) და შვედეთის განვითარების სააგენტოს (SIDA), აგრეთვე „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს“ და ბრიტანულ კომპანიას „ECO“ განახლებადი ენერგიების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში აღმოჩენილი დახმარებისთვის. კონფერენციაზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა საქართველოს სუფთა ენერგიის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკა და სტრატეგია, ასევე განახლებადი ენერგიის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის.

ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანებისას, საქართველომ აიღო ვალდებულება, ეროვნულ საკანონმდებლო-მარეგულირებელ ბაზაში ასახოს ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების ნორმები და მოთხოვნები და შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკის და სტრატეგიის დოკუმენტები. ამ ვალდებულებათა შორისაა განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება.

განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა, შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლები და მათი მიღწევის ტრაექტორიები მომზადდა ევროკავშირის განახლებადი ენერგიების შესახებ დირექტივის და ენერგეტიკული თანამეგობრობის სამდივნოს მიერ მომზადებული მეთოდოლოგიის მიხედვით. გეესგ-ზე მუშაობის პროცესი მიმდინარეობდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ენერგეტიკული თანამეგობრობის სამდივნოს შესაბამის დანაყოფებთან მჭიდრო კოორდინაციით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს დარგობრივი სამინისტროების, ენერგეტიკულ სექტორში მომუშავე საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, კერძო კომპანიების, აკადემიური და არასამთავრობო ინსტიტუციების წარმომადგენლები.

# გაერო: 2050 წლისთვის მოსახლეობის 68% ქალაქებში იცხოვრებს

გაეროს მონაცემებით, 2050 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის ორი მესამედი ქალაქებში იცხოვრებს, ურბანიზაციის ყველაზე თვალსაჩინო პროცესი კი ჩინეთში, ინდოეთსა და ნიგერიაში წარიმართება.

2018 წლისთვის ურბანულ ზონებსა და ქალაქებში მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 55% ცხოვრობს, რაც მომდევნო 32 წელიწადში 66%-მდე გაიზრდება.

გაეროს კვლევაში აღნიშნულია, რომ მომდევნო წლებში მეგაქალაქების (10 მლნ-ზე მეტი მცხოვრები). რაოდენობაც მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამ მომენტისთვის მსოფლიოში 33 მეგაქალაქი არსებობს. კვლევაში ვკითხულობთ, რომ ასეთი ტიპის ქალაქები 43-მდე გაიზრდება.

შეგახსენებთ, რომ 1990 წელს მსოფლიოში სულ 10 მეგაქალაქი არსებობდა.

მოსახლეობის მხრივ მსოფლიოში უდიდესი ქალაქი ტოკიოა, სადაც დაახლოებით 37 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მეორე პოზიციას ნიუ-დელი იკავებს (29 მილიონი), ხოლო მესამეზე კი შანხაია (26 მილიონი). ნავარაუდევია, რომ ნიუ-დელი პირველ ადგილზე 2028 წლისთვის გადაინაცვლებს.

ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობის 82% ქალაქებში ცხოვრობს, ევროპაში კი – 74%. ყველაზე ნაკლებად ურბანული კონტინენტი აფრიკაა, სადაც ქალაქებს გარეთ მოსახლეობის 57% ცხოვრობს.

# რა რეგულაციებისგან თავისუფლდება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოხელე

საჯარო დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურე გარკვეული რეგულაციებისგან თავისუფლდება.



ამის შესახებ მთავრობის 14 მაისის დადგენილებაშია აღნიშნული.

კერძოდ, დადგენილების თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეზე არ ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების“ შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული ინტერესთა შეუთავსებლობისა და საჩუქრის რეგულაციები.

მაგალითად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოხელეზე არ გავრცელდება შემდეგი რეგულაციები: საჯარო მოსამსახურე არ იღებს ისეთი სახის შეთავაზებას, რომელიც წარმოშობს ან შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა შეუთავსებლობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან ან/და გავლენა მოახდინოს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაზე; თავს არიდებს ისეთ გარემოებებს, რომლებიც შესაძლოა, აღქმულ იქნეს კერძო ინტერესის პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენად მის სამსახურებრივ საქმიანობაზე; უპირატეს მდგომარეობაში არ აყენებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებთანაც პირადი ან სამსახურებრივი ინტერესი აკავშირებს ან აკავშირებდა;

იღებს მხოლოდ კანონით ნებადართულ საჩუქარს და თავიდან ირიდებს ისეთი საჩუქრის მიღებას, რომელმაც შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაზე, ან რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მის კეთილსინდისიერებას და ვალდებულს გახდის საჩუქრის მიმცემის წინაშე; მოხელის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში ერთი წყაროდან მიღებული საჩუქრების ჯამური ოდენობა მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს; ერთი წყაროდან მიღებული საჩუქრის ღირებულება კი მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 5%-ს არ აღემატება და ა.შ.

ცნობისთვის, დადგენილება გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა.

# 4 თვეში ტურიზმმა საქართველოს 800 მლნ დოლარის შემოსავალი მოუტანა

2018 წლის აპრილში ტურიზმიდან შემოსავალი 27.5% გაიზარდა და 239 მლნ დოლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე წლის 4 თვეში ქვეყანამ ტურიზმიდან მთლიანად 800 მლნ დოლარი მიიღო. ყველაზე მეტი შემოსავალი აპრილში დაფიქსირდა და მან 239 მლნ შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდს 27.5%-ით აღემატება. მარტში ტურიზმიდან შემოსავალი იყო 237 მლნ დოლარი, თებერვალში – 165 მლნ დოლარი, იანვარში – 159 მლნ დოლარი.



ამასთან, 2018 წლის აპრილში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში შემოსული ტურისტების რაოდენობა 25%-ით გაიზარდა. 2017 წლის აპრილში 222.556 ტურისტი შემოვიდა, ხოლო 2018 წლის აპრილში – 278.032.

2017 წელს საქართველომ ტურიზმიდან 2,7 მლრდ დოლარის შემოსავალი მიიღო, 2016 წელს – 2,1 მლრდ დოლარის, 2015 წელს კი – 1,9 მილიარდი დოლარის.

# სასტუმროების ფასის ინდექსი მარტში 6.4%-ით გაიზარდა

მიმდინარე წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 6.4%-ით გაიზარდა.




კვლევის მიხედვით, სასტუმროების სტანდარტული ორადგილიანი ნომრების ფასი ყველაზე მეტად – 11.5%-ით დედაქალაქში გაიზარდა, ფასები ყველაზე მეტად – 5.4%-ით შემცირდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.

– აღსანიშნავია, რომ მარტში, თებერვალთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 31%-ით გაიზარდა, ხოლო 24 საათით და მეტი დროით (ტურისტი) საქართველოში 64%-ით მეტი საერთაშორისო ვიზიტორი გაჩერდა, – აღნიშნულია კვლევაში.

მათივე ცნობით, 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი მარტში, თებერვალთან შედარებით, 9%-ით გაიზარდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად გაიზარდა თბილისსა და აჭარაში. რაც შეეხება საოჯახო ტიპის სასტუმროებს, მათი ფასების დონე 2018 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით 2.2%-ით არის შემცირებული. რეგიონების მიხედვით კი ფასები ყველაზე მეტად სამცხე-ჯავახეთში შემცირდა, ზრდა კი ყველაზე მეტად თბილისში დაფიქსირდა.

**ბპნ**

# გერმანია საქართველოს 230 მილიონ შეღავათიან სესხსა და 22 მილიონ გრანტს აძლევს

საქართველოს გერმანიის მთავრობისგან 230 მილიონ ევროს ოდენობით სესხს, ხოლო 22.7 მილიონი ევროს ოდენობით ფინანსურ დახმარებას მიიღებს.



აღნიშნულ თანხას საქართველო გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისგან იღებს. საქართველოსა და გერმანიის მთავრობების ხელმოწერილი ხელშეკრულებები დარეგისტრირებულია პარლამენტში და მისი განხილვის დაწყება 17 მაისიდანაა დაგეგმილი.

ხელშეკრულების მიხედვით ეს თანხა შემდეგი მიმართულებით უნდა დაიხარჯოს:

შეღავათიანი სესხი 100.000.000 ევროს ოდენობით, „ენერგოსექტორის ღია პროგრამისთვის“ და გრანტი 1.000.000 ევროს ოდენობით პროექტის განხორციელებისა და ზედამხედველობისთვის საჭირო თანმდევი ღონისძიებებისთვის.

შეღავათიანი სესხი 50.000.000 ევროს ოდენობით პროექტისთვის „კომუნალური ინფრასტრუქტურა გარემოსა და ტურიზმისთვის“ და გრანტი 2.000.000 ევროს ოდენობით პროექტის განხორციელებისა და ზედამხედველობისთვის საჭირო თანმდევი ღონისძიებებისთვის.

შეღავათიანი სესხი 20.000.000 ევროს ოდენობით პროექტისთვის „პროფესიული განათლება I“ და გრანტი 3.000.000 ევროს ოდენობით პროექტის განხორციელებისა და ზედამხედველობისთვის საჭირო თანმდევი ღონისძიებებისთვის.

შეღავათიანი სესხი 20.000.000 ევროს ოდენობით პროექტისთვის „წყალმომარაგება სოფლად აჭარაში“ (თანხის გაზრდა 20.000.000 ევროდან 40.000.000 ევრომდე) და გრანტი 1.000.000 ევროს ოდენობით პროექტის განხორციელებისა და ზედამხედველობისთვის საჭირო თანმდევი ღონისძიებებისთვის.

თანხის გაზრდა შეღავათიანი სესხისთვის „კლიმატისთვის უსაფრთხო ინფრასტრუქტურა“ 30.000.000-დან 50.000.000 ევრომდე.

თანხის გაზრდა 10.000.000 ევროს ოდენობით შეღავათიანი სესხისთვის „ნარჩენების კლიმატისთვის უსაფრთხო მართვა III“.

ფინანსური დახმარება 10.000.000 ევროს ოდენობით, პროექტისთვის „ეკონომიკური ინტეგრაცია, საცხოვრებელი ფართი და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებული პირებისთვის“.

ფინანსური დახმარება 5.721.753 ევროს ოდენობით, ენერგოეფექტიანობის ღონისძიებები და შენობებში ევროკავშირის ენერგოეფექტიანობის სტანდარტებთან დაახლოება.

**ნეტგაზეთი**

# აპრილში ოპეკმა ვენის შეთანხმება 172%-ით შეასრულა

მიმდინარე წლის აპრილში ოპეკმა შეამცირა ნავთობის მოპოვება 2016 წლის ოქტომბრის თვის მაჩვენებელთან შედარებით 2,03 მილიონი ბარელით/დღე-ღამეში, რითაც 172%-ით შეასრულა ვენის შეთანხმება, რაც რეკორდული მაჩვენებელია. მარტში ის შეადგენდა 165%-ს. ნათქვამია საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ გავრცელებულ მაისის ანგარიშში.

აპრილში ოპეკის ნავთობის მოპოვება თვიურ გამოხატულებაში შემცირდა 130 ათასი ბარელით/დღე-ღამეში 31,65 მილიონ ბარელამდე/დღე-ღამეში.

წინასწარი მონაცემებით, აპრილში რუსეთმა ნავთობის მოპოვება 2016 წლის ოქტომბრის თვის მაჩვენებელთან შედარებით შეამცირა 250 ათასი ბარელით/დღე-ღამეში 11,35 მლნ ბარელამდე/დღე-ღამეში, რითიც შეასრულა „ოპეკი +“-ის შეთანხმება 83%-ით. მარტში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 81%-ს.

ცნობისათვის, 2016 წლის ბოლოს ოპეკის წევრმა ქვეყნებმა და რამოდენიმე არაწევრმა ქვეყანამ დადო შეთანხმება ნავთობის მოპოვების ოდენობის შემცირების შესახებ. კერძოდ, მათ უნდა შეემცირებინათ ნავთობის მოპოვება ჯამში 1,8 მლნ ბარელით/დღე-ღამეში 2016 წლის ოქტომბრის თვის მაჩვენებელთან შედარებით. 2017 წლის 30 ნოემბერს მათ მიიღეს გადაწყვეტილება შეთანხმების 2018 წლის ბოლომდე გაგრძელების შესახებ.

# „დამფუძნებელი ვარ, არ ვარ ჩახედული კლუბის საქმიანობაში“ — ღამის კლუბ „გალერის“ დამფუძნებელი მოწმის სტატუსით დაკითხეს



კაფე „გალერის“ დამფუძნებელი თბილისის მთავარ სამმართველოში გამოკითხვაზე იმყოფებოდა. ალექსანდრე ანთაძის განცხადებით, მას ზოგადი კითხვები დაუსვეს, ნარკოტიკებთან დაკავშირებით კი არაფერი უკითხავთ. მისი თქმით, ის გამოკითხვაზე მოწმის სტატუსით იყო დაბარებული. ანთაძის გამოკითხვა ორ საათს გაგრძელდა.

— ჩვეულებრივი კითხვები იყო შპს-ზე და ასე შემდეგ, საქმიანობა, როდის დაფუძნდა, ვინ მუშაობს და ასე შემდეგ, მეტი არაფერი. მე დამფუძნებელი ვარ, კარგად არ ვარ ჩახედული კლუბის საქმიანობაში, — აღნიშნა ანთაძემ.

# სასამართლომ ადევნებაში ბრალდებულს 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ადევნებაში ბრალდებული ს.მ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1511-ე მუხლის პირველი ნაწილით.

პროკურატურის ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ ს.მ. დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

— სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ს.მ. სოციალური ქსელისა და სხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ცდილობდა ა.ტ.-სთან მისთვის არასასურველი კომუნიკაციის დამყარებასა და უკანონო თვალთვალს, აკითხავდა სხვადასხვა ადგილებში და მის გაკონტროლებას ცდილობდა.

ასევე ს.მ.-მ დაზარალებულს არაერთხელ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ემუქრებოდა, რომ ყველგან ნახავდა და მის ქცევას გააკონტროლებდა. აღნიშნული ქმედების შედეგად ა.ტ. მუდმივად განიცდიდა შეურაცხყოფას, დამცირებას და შანტაჟს, რაც იწვევდა მის ტანჯვას და მუდმივი თვალთვალის გამო ვერ ახერხებდა თავისუფლად გადაადგილებას.

სამართალდამცველებმა ს.მ. 2018 წლის 11 თებერვალს სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1511-ე მუხლის პირველი ნაწილით (ადევნება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, — აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ბარათაშვილის აღმართზე ავტომობილმა ჯებირი გაარღვია და რიყის პარკში გადავარდა

თბილისში, ბარათაშვილის აღმართზე, „ჰონდას“ მარკის მსუბუქი ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, ჯებირი გაარღვია და რიყის პარკში გადავარდა. მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მძღოლი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდება.



# თემქაზე მოკლულ 20 წლის გოგოს 33 ჭრილობა აქვს მიყენებული



ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, თემქაზე მოკლულ 20 წლის გოგოს 33 ჭრილობა აქვს მიყენებული. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, ამ ჭრილობებს შორისაა 20 წლის ანა ნაცვლიშვილისთვის თავის არეში მჭრელი გალესილი საგნით მიყენებული დაზიანებები.

ექსპერტიზის აღნიშნული დასკვნა გახდა ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ მკვლელობაში ბრალდებულ ლადო გრიგალაშვილს ბრალი დამძიმებოდა.

გრიგალაშვილს ახალი ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა, რაც განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობის ჩადენას გულისხმობს. ბრალდებულის ადვოკატი ნაირა ოტიაშვილი აცხადებს, რომ გამოძიებას გრიგალაშვილის წინააღმდეგ არავითარი მტკიცებულება არ აქვს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ოტიაშვილმა განუცხადა, მას უკვე დანიშნული აქვს ალტერნატიული ექსპერტიზები, რომელიც მისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობას დაამტკიცებს.

— 33 ჭრილობაა დადგენილი ექსპერტიზით, თუმცა არის ასევე ერთი ჭრილობა, რომელიც დაუდგენელია, თუ რა იარაღითაა მიყენებული. ზოგადად ბრალდებას მტკიცებულებები არ გააჩნია და კვალიფიკაცია რამდენიც უნდა ცვალონ. გაუგებარია რის საფუძველზე წაუყენეს ბრალი და შემდეგ უკვე დაუმძიმეს. ამოღებული დანის ზომები და ჭრილობების ზომები არ ემთხვევა ერთმანეთს. გენეტიკური მასალა არ არის. თითის ანაბეჭდები არ არის და შესაბამისად რითი ამტკიცებენ ბრალს გაუგებარია. მე უკვე დავნიშნე ალტერნატიული ექსპერტიზები სასამართლო სამედიცინო და კრიმინალისტიკური ექსპერტიზები, — განაცხადა ნაირა ოტიაშვილმა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ახალი ბრალი საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას ითვალისწინებს, თუმცა, როგორც ბრალდებულ ლადო გრიგალაშვილის ადვოკატი ამბობს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი არ აირჩევს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილი 22 თებერვალს მოკლეს. მას ყელის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა აქვს მიყენებული და ასევე დაზიანებები აღენიშნებოდა თავის არეში. პოლიციამ ნაცვლიშვილის მკვლელობის ბრალდებით მისი შეყვარებული, ლადო გრიგალაშვილი, მომხდარიდან მეორე დღეს დააკავა.

# ზაზა სარალიძე: „ბრალდებულმა პირდაპირ დაადო ხელი ორ პირს და თქვა, რომ მათ ხელში რაღაც საგნისმაგვარი დაინახა, რომელსაც ჩემს შვილს უქნევდა“



— ბრალდებულმა პირდაპირ დაადო ორ პირს ხელი და თქვა, რომ მათ ხელში რაღაც საგნისმაგვარი დაინახა, რომელსაც ჩემს შვილს უქნევდა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდის, დავით სარალიძის მამამ, ზაზა სარალიძემ, ჟურნალისტებს გუშინდელი პროცესის შემდეგ განუცხადა, რომელზეც საქმეზე ბრალდებული ერთ-ერთი არასრულწლოვანი დაიკითხა.

სარალიძის თქმით, მისი აზრით, ბრალდებულმა სასამართლოს ხორავას ქუჩაზე განვითარებულ მოვლენებზე ჭეშმარიტი ინფორმაცია მიაწოდა.

— პიროვნებების დასახელებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ, თუმცა ბრალდებულმა ორ პიროვნებას დაადო ხელი, რომლებზეც მე აქამდე მქონდა საფუძვლიანი ეჭვი. მან თქვა, რომ ორივე ადამიანის ხელში რაღაც საგნისმაგვარი დაინახა, რომელსაც უქნევდნენ ჩემს შვილს. გარდა ამისა, აღნიშნულმა მოწმემ აღნიშნა ის ფაქტიც, რომ გამოძიება ზეწოლას ახდენდა მასზე. მან ამ დეტალებზე გამოძიებას ჩვენება მისცა, მაგრამ მისი ეს ჩვენება გააქრო პოლიციამ და დევს მხოლოდ ფარული ვიდეოჩანაწერი, სადაც გარკვეულ დეტალებს მალავს, ვინაიდან პოლიციის მხრიდან იყო დაშინებული. ერთ-ერთი, ვინც დაასახელა, კალანდიაა, ხოლო მეორე არასრულწლოვანია ჯერ კიდევ თავს შევიკავებ მისი ვინაობის დასახელებისგან, — განაცხადა ზაზა სარალიძემ.

რაც შეეხება დანაშაულში უშუალოდ ბრალდებულის მონაწილეობას, სარალიძე ამბობს, რომ ბრალდებულმა დაადასტურა დანის ქონა, თუმცა მისი გამოყენების თაობაზე გარკვეულ დეტალებზე არ უსაუბრია.

# თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მე-8 და მე-9 კლასელ გოგოსა და ბიჭს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა

თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მერვე და მეცხრე კლასების ორ მოსწავლეს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. მერვეკლასელმა გოგომ მეცხრეკლასელ ბიჭს საკანცელარიო ნივთით დაზიანება მიაყენა. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ მიმდინარე წლის 17 მაისს თბილისში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, მე-8 და მე-9 კლასების ორ მოსწავლეს შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

მერვეკლასელმა გოგომ საკანცელარიო ნივთით სხეულზე მსუბუქი დაზიანება მიაყენა მეცხრეკლასელ ბიჭს, რომელიც, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით, საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გამოძიება ძალადობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, — ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.



# გორში იეჰოვას მოწმეების სამეფო დარბაზს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს



გორში, წმინდაწყლის დასახლებაში მდებარე იეჰოვას მოწმეების სამეფო დარბაზს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა 17 მაისს გვიან ღამით მოხდა. ადგილობრივების განცხადებით, სამეფო დარბაზს, სავარაუდოდ, სანადირო თოფიდან ესროლეს. სამეფო დარბაზს ნატყვიარის გარდა გაკეთებული აქვს წარწერა — „იწამე ღმერთი ჩვენი“.

შსს პრესსამსახურის განცხადებით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სხვისი ნივთის განზრახ დაზიანებას გულისხმობს, რომელმაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. როგორც „ადამიანის უფლებათა ცენტრში“ აცხადებენ, ეს შემთხვევა — გორში იეჰოვას მოწმეების რელიგიურ საქმიანობაში ხელის შეშლის — პირველი არ არის. ორი თვის წინ სამეფო დარბაზის გალავანზე ჯვრები გამოსახეს. ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს შსს-ა და პროკურატურას, ჩაატაროს ეფექტური გამოძიება, გამოკვეთოს სიძულვილისა და დისკრიმინაციის მოტივი, გამოავლინოს დამნაშავეები და დასაჯოს ისინი კანონის სრული სიმკაცრით.

# იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა — დაკავებულია წარსულში ნასამართლევი პირი



ოზურგეთში სამართალდამცავებმა იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე წარსულში ნასამართლევი პირი ამხილეს.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1962 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი პირი ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე ამხილეს.

ნივთმტკიცებად ამოღებულია „VIS WZ. 35“-ის მოდელის პისტოლეტი, მჭიდი და 8 საბრძოლო ვაზნა, — აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# მარადონა ბელორუსში იმუშავებს



ლეგენდარული ამერიკელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა ამიერიდან ბელორუსში იმუშავებს. ის ბრესტის დინამოს მმართველობის თავკაცი გახდება.

თანახმად ბელორუსული ტელევიზიის პირველი არხის ცნობისა, მარადონა კურირებას გაუწევს სელექციურ მუშაობას და ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდას შეუდგება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

2018, 18 მაისი, №116

# ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი შესაძლოა ქალი გახდეს

აშშ-ის სენატის სადაზვერვო საკითხთა კომიტეტში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) დირექტორის დანიშვნის საკითხი განიხილეს. სენატორთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის პოსტზე ჯინა ჰასპელის დანიშვნას. დღეისთვის ის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებელია. ჰასპელს ხმა 10-მა სენატორმა მისცა, 5 წინააღმდეგ წავიდა. ამის შემდეგ მისი კანდიდატურა სენატმა უნდა განიხილოს.



– თუკი სენატმა ჰასპელის კანდიდატურას მხარი დაუჭირა, ის პირველი ქალი იქნება, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი გახდება, – იტყობინება „ამერიკის ხმა".

ჯინა ჰასპელი 1956 წელს დაიბადა. ის გამოცდილი პროფესიონალია. ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში 1985 წლიდან მსახურობს. მიუხედავად იმისა, რომ ქალია, წლების განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა, კერძოდ, ცსს-ის ანტიტერორისტულ ცენტრს ედგა სათავეში. ჰასპელის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა რიგი ოპერაცია, რამაც ალ-ქაიდასა თუ სხვა მსგავს ორგანიზაციებს სერიოზული ზიანი მიაყენა. ამავე დროს, რიგი ექსპერტი ჰასპელს ბრალად პატიმართა წამებას სდებდა, კერძოდ, ამტკიცებდნენ, რომ ის ტაილანდში ცსს-ის საიდუმლო ციხეს ხელმძღვანელობდა. შემოწმებისას ასეთი ციხის არსებობა არ დადასტურდა, მეტიც, ვერ მოიძებნა ვერც ერთი საბუთი, რომელიც ჰასპელის წამებებში მონაწილეობას დაადასტურებდა.

პრეზიდენტის პოსტზე დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ ჯინა ჰასპელი ცსს-ის ახალი დირექტორის მაიკ პომპეოს მოადგილე გახდა. მაიკ პომპეოს სახელმწიფო მდივნად დანიშვნის შემდეგ ჯინა ჰასპელი ცსს-ის დირექტორობის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა.

სენატის კომიტეტში ჰასპელმა ყველა შეკითხვას ამომწურავად და ვაჟკაცური პირდაპირობით უპასუხა. მან კატეგორიულად უარყო ბრალდება წამებაში მონაწილეობის შესახებ, თუმცა განაცხადა:

– რასაკვირველია, დაკითხვებისას ხისტ მეთოდებს ვიყენებდით. პირდაპირ ვაცხადებ, ამის თაობაზე არ ვნანობ. ტერორისტებთან სხვაგვარად არ შეიძლება. თუკი მათ ფსიქიკაზე ჯეროვანი ზემოქმედება არ მოხდა, არ იქნა მოძიებული კომპრომატი, რის შედეგადაც კედელთან მივიმწყვდევთ, ვერავითარ შედეგებს ვერ მივაღწევთ.

საკომიტეტო მოსმენები ჰასპელისათვის წარმატებით დასრულდა. თუკი სენატმაც მას მწვანე შუქი აუნთო, ის პირველი ქალი იქნება, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ძლიერ სპეცსამსახურს, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ჩაუდგება სათავეში.

# აშშ რუსეთის წინააღმდეგ დამატებით სანქციებს შემოიღებს

ამერიკა რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების შემოღებას აპირებს. ამის თაობაზე თავად პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა. მიზეზი რუსების მიერ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების თაობაზე ხელშეკრულების დარღვევაა.

– მე მივეცი დავალება სახელმწიფო მდივან პომპეოს, რომ ფინანსთა სამინისტროსა და დაზვერვის სამსახურთან ერთად ახალი სანქციების შემოღებაზე მუშაობა დაიწყოს, – თქვა ტრამპმა.

რუსეთის პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ ახალი სანქციების შემოღების შემთხვევაში რუსეთი კონტრაქციებს განახორციელებს. მედვედევმა თქვა, რომ სახელმწიფო დუმამ შესაბამისი კანონი პირველი კითხვით უკვე მიიღო. ექსპერტები ამას სკეპტიკურად ეკიდებიან. თვით პრორუსული ორიენტაციის ამერიკელი პოლიტოლოგი დიმიტრი საიმსიც კი აცხადებს:

– რუსეთ-ამერიკის ეკონომიკას შორის ისეთი განსხვავებაა, რომ კონტრანქციები მხოლოდ ერთ მხარეს, ანუ რუსეთს დააზარალებს!

საიმსმა რტრ-ის ეთერით გამოსვლისას გულისტკივილით აღნიშნა, რომ რუსეთს აღარ დარჩა სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ მიიღოს თამაშის ის წესები, რომლებსაც ვაშინგტონიდან კარნახობენ.

– ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა უნდა გაიყვანოს ჯარები დონბასიდან, დაუბრუნოს უკრაინას ყირიმი, შეწყვიტოს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთის ოკუპაცია და ცივილიზებული წესებით ითამაშოს! – თქვა საიმსმა.

# კურტ ვოლკერი: „დონბასში გაეროს სამშვიდობო ძალები აუცილებლად ჩადგებიან!"

აშშ-ის პრეზიდენტის წარმომადგენელმა დონბასის კონფლიქტის მოგვარების საკითხში კურტ ვოლკერმა განაცხადა, რომ დონბასში გაეროს სამშვიდობო ძალები აუცილებლად ჩადგებიან.

– ისინი დონბასის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზეც განთავსდებიან, – ამბობს ვოლკერი.



ამერიკელმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ გაეროში აუცილებლად დადგება საკითხი დონბასში სამშვიდობო კონტინგენტის ჩაყენების თაობაზე. რასაკვირველია, რუსეთს შეუძლია, ვეტოს უფლება გამოიყენოს, მაგრამ ამის გამო მას კარგი დღე არ დაადგება.

– თუკი რუსეთმა ვეტო გამოიყენა, ეს იმას ნიშნავს, რომ მშვიდობა არ სურს. მოსკოვის მიმართაც დამატებითი ღონისძიებები განხორციელდება, – თქვა ვოლკერმა.

თავად დონბასში კი ვითარება სულ უფრო იძაბება. რუსმა ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა შეტევაზე გადასვლა ცადეს. ამას მათთვის საბედისწერო შედეგი მოჰყვა. რუსებმა დიდი ზარალით დაიხიეს უკან. ბრძოლებში მოკლულია მტრის 5 ჯარისკაცი, 8 დაიჭრა. უკრაინელთა დანაკარგია 2 მოკლული, 5 დაჭრილი. კონტრ-შეტევის შედეგად უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ახალი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. რუსი ჯარისკაცები და სეპარატისტები უკუიქცნენ.

დონბასის ფრონტზე რუსების დანაკარგი კოლოსალურია. დღესაც, გორლოვკასთან უკრაინელები დავამარცხეთო, ახალი სიცრუით შეიცვალა:

– უკრაინელებმა მინსკის შეთანხმებები საბოლოოდ დაარღვიეს! დღეისათვის მთელი დემილიტარიზებული ზონა უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტროლქვეშ არის! – იტყობინება სეპარატისტების საიტი „რუსსკაია ვესნა".

# თეთრი სახლი: „იმედი გვაქვს, ტრამპისა და კიმ ჩენ ინის შეხვედრა მაინც შედგება!"

ტრამპს იმედი აქვს, რომ მისი შეხვედრა კიმ ჩენ ინთან შედგება. ამის თაობაზე თეთრი სახლის წარმომადგენელმა სანდერსმა განაცხადა.

– ჩვენ მოველოდით, რომ კიმ ჩენ ინი რაღაც ოინს ჩაიდენდა. ასეც მოხდა, – თქვა სანდერსმა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკული დიპლომატია ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელობის მიმართ მიზანმიმართულ საქმიანობას ახორციელებს.

– თუ შეხვედრა მაინც ჩაიშალა, ეს ჩრდილოეთ კორეისა და, კერძოდ, კიმ ჩენ ინისათვის სახარბიელო ნამდვილად არ იქნება, – თქვა მან.

# ტრამპი უზბეკეთის პრეზიდენტს შეხვდა

ვაშინგტონში უზბეკეთის პრეზიდენტი შავქატ მირზიოევი ჩავიდა. ის პირადად დონალდ ტრამპმა მიიღო. მოლაპარაკების ძირითადი თემა აშშ-უზბეკეთის ურთიერთობები გახლდათ.



ამერიკელი ექსპერტები ხაზს უსვამენ იმას, რომ მირზიოევს აშშ-სთან ურთიერთობების მოგვარება სურს. ტრამპმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ უზბეკეთს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობა უკავია და ამ ქვეყანასთან კავშირი ამერიკისათვის სულ ერთი არ არის.

# გვატემალამ საელჩო იერუსალიმში გადაიტანა

გვატემალამ თავისი საელჩო თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანა. ამის თაობაზე გაზეთი „დენ" იუწყება.

საელჩო საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ცერემონიას ისრაელის პრემიერი ნეტანიაჰუ და გვატემალის პრეზიდენტი მორალესიც დაესწრნენ.




# პუტინი სამხედროებთან თათბირს გამართავს



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სოჭში სამხედროებთან თათბირს გამართავს. ამის თაობაზე პუტინის პრესმდივანი დიმიტრი პესკოვი იუწყება.

– თათბირის ძირითადი თემა რუსული არმიის შემდგომი მოდერნიზაციაა, – ამბობს პეშკოვი.

თანახმად უკრაინის დაზვერვის ინფორმაციისა, თათბირზე დონბასში შექმნილ მდგომარეობასაც განიხილავენ. როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანს უკრაინელებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. რუსული არმია და სეპარატისტები დიდ ზარალს განიცდიან. პუტინიც დონბასში დაქირავებულთა ახალი ბანდების გადასროლას აპირებს. საუბარია ფირმა „ვაგნერის" მიერ გამოზრდილ კონტინგენტზე. როგორც ცნობილია, ეს ბანდები სირიაში ასადის მხარეს იბრძვიან. ახლა შესაძლოა ისინი დონბასშიც გამოჩნდნენ.

# ოლეგ სენცოვმა შიმშილობა გამოაცხადა

უკრაინელმა რეჟისორმა ოლეგ სენცოვმა შიმშილობა გამოაცხადა. ის მოითხოვს, რომ რუსეთის ციხეში მყოფი ყველა უკრაინელი პოლიტპატიმარი გაათავისუფლონ.



სენცოვი ყირიმის მცხოვრებია. ის ნახევარკუნძულის უკრაინის შემადგენლობაში დარჩენის მხურვალე მომხრე იყო. ამის გამო რუსებმა მას ტერორიზმი დასდეს ბრალად და 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ახლა რეჟისორი რუსეთის ციხეში იმყოფება.

**მოამზადა ნიკა თევზაძე**


# განცხადებები

**სხვადასხვა**

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება, "პახმელიის",ზაპოის", აგრესიის და ყველანაირი გართულების მოხსნა. (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში პაციენტისგან ფარულად) კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მკურნალობაა, მცენარეული, მაღალეფექტური, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# ფაჩულიასა და დიქსონს მოედნის უპირატესობა აქვთ



დასავლეთ კონფერენციის ფინალში ანგარიში გათანაბრდა, ჰარდენმა და კომპანიამ გოლდენ სტეიტი დაამარცხეს, ხოლო ზაზა ფაჩულია პარკეტზე დაბრუნდა.

ჰიუსტონს მოედნის უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ პირველივე მატჩში დაკარგა და ვალდებული იყო, მე-2 თამაში მოეგო, სხვა შემთხვევაში მთავარ ფინალში გასვლა ძალიან გაუჭირდებოდა. ასეც მოხდა: როკეტსმა უორიორსი საკმაოდ დამაჯერებლად, 127:105 დაამარცხა.

საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, პარკეტზე კვლავ გამოჩნდა ზაზა ფაჩულია! უორიორსის ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, მაგრამ ჯამში 5 წუთი ითამაშა და 5 ქულის დაგროვება შეძლო. ზაზამ ორიდან ორივე 2-ქულიანი ჩააგდო და ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო. გარდა ამისა, მის ანგარიშზე 1 მოხსნა (შეტევაში), 1 პასი და 1 ჩაჭრაც იყო.

ჰიუსტონიდან საუკეთესო იყო ჯეიმს ჰარდენი, რომელმაც 27 ქულას 10 მოხსნაც მიამატა და ერთადერთი კალათბურთელი გახდა, ვინც ორმაგი დუბლი შეასრულა. 27 ქულა ჰქონდა ერიკ გორდონსაც. სხვა კალათბურთელებმაც კარგად ითამაშეს და სწორედ გუნდურობის ხარჯზე მოახერხეს მეტოქის დამარცხება. გოლდენ სტეიტიდან შეუჩერებელი კევინ დურანტი იყო, რომელმაც ყველაზე მეტი, 38 ქულა დააგროვა. აღსანიშნავია, რომ თუ კალათბურთელების ქულებს გადავხედავთ, დურანტის შემდეგ 5 ჰიუსტონელია და მხოლოდ ამის შემდეგ მოდის გოლდენ სტეიტის ლიდერი სტეფ კარი, რომელმაც „მხოლოდ“ 16 ქულა, 7 მოხსნა და 7 პასი გააკეთა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ კარიმ 8-ჯერ ისროლა 3-ქულიანი, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ 1 ჩააგდო!

თურქულმა ბაჰჩეშეჰირმა, რომლის ღირსებასაც საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი გამთამაშებელი მაიკლ დიქსონი იცავს, პირველი ლიგის ნახევარფინალურ სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

ბაჰჩეშეჰირს ბურსასთან პირველი გასვლითი მატჩი 71:76 ჰქონდა წაგებული, მეორეში კი მეტოქეს აჯობა და 5 ქულის სხვაობით – 69:64 იმარჯვა. დიქსონი სასტარტო ხუთეულში იყო და 30 წუთში 12 ქულა, 2 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. მაიკლმა 4-დან 2 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო.

სტუმრად მოგებული მატჩის წყალობით ბაჰჩეშეჰირს მოედნის უპირატესობა აქვს და მომდევნო 2 მატჩს შინაურ არენაზე თუ მოიგებს, ფინალში გავა.

# შემადგენლობა ინგლისმა და ურუგვაიმაც გამოაცხადეს




მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. მწვრთნელები უკვე იწყებენ მზადებას და შემადგენლობებიც ნელ-ნელა ჩნდება.

მუნდიალისთვის საბოლოო შემადგენლობა გამოაცხადა ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა გარეთ საუთგეიტმა.

ინგლისელები თითქმის ყველა ტურნირზე ფავორიტად ჩადიან, მაგრამ ტიტულის მოპოვებას ვერ ახერხებენ. ვნახოთ, რას შეძლებს საუთგეიტის კრებული, რომელიც ასე გამოიყურება:

**მეკარეები**: ჯეკ ბატლანდი (სტოკი), ნიკ პოუპი (ბარნლი), ჯორდან პიკფორდი (ევერტონი);

**მცველები**: ფილ ჯონსი (მანჩესტერი), ტრენტ ალექსანდრ-არნოლდი (ლივერპული), კაილ უოკერი, ჯონ სტოუნსი (ორივე მანჩესტერ სიტი), ჰარი მაგუაიერი (ლესტერი), დენი როუზი, კირან ტრიპერი (ორივე ტოტენჰემი), გარი კეჰილი (ჩელსი);

**ნახევარმცველები**: ჯორდან ჰენდერსონი (ლივერპული), დელე ალი, ერიკ დაიერი (ორივე ტოტენჰემი), ეშლი იანგი, ჯესი ლინგარდი (ორივე მანჩესტერი), ფაბიან დელფი (მანჩესტერ სიტი), რუბენ ლოფტუს-ჩიკი (ჩელსი);

**თავდამსხმელები**: ჰარი კეინი (ტოტენჰემი), ჯეიმი ვარდი (ლესტერი), დენი უელბეკი (არსენალი), რაჰიმ სტერლინგი (მანჩესტერ სიტი), მარკუს რეშფორდი (მარნჩესტერი);

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შემადგენლობა ურუგვაის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოსკარ ტაბარესმაც დაასახელა. მის გაფართოებულ სიაში 26 ფეხბურთელია. საბოლოო, 23-კაციანი შემადგენლობა 4 ივნისამდე გახდება ცნობილია.

**სადღეისოდ ტაბარესის სია ასეთია:**

**მეკარეები**: ფერნანდო მუსლერა (გალათასარაი), მარტინ სილვა (ვასკო და გამა), მარტინ კამპანია (ინდეპენდიენტე);

**მცველები**: დიეგო გოდინი, ხოსე მარია ხიმენესი (ორივე ატლეტიკო), სებასტიან კოატესი (სპორტინგი), მაქსიმილიანო პერეირა (პორტუ), გასტონ სილვა (ინდეპენდიენტე), მარტინ კასერესი (ლაციო), გილერმო ვარელა (პენაროლი).

**ნახევარმცველები**: ნაიტან ნანდესი (ბოკა ხუნიორსი), ლუკას ტორეირა (სამპდორია), მატიას ვესინო (ინტერი), ფედერიკო ვალვერდე (რეალი), როდრიგო ბენტანკური (იუვენტუსი), კარლოს სანჩესი (მონტერეი), ჯორჯიან დე არასკაეტა (კრუზეირო), დიეგო ლაქსალტი (ჯენოა), კრისტიან როდრიგესი (პენიაროლი), ჯონათან ურეტავისკაია (მონტერეი), ნიკოლას ლოდეირო (სიეტლი), გასტონ რამირესი (სამპდორია);

**თავდამსხმელები**: კრისტიან სტუანი (ხირონა), მაქსიმილიანო გომესი (სელტა), ედინსონ კავანი (პსჟ), ლუის სუარესი (ბარსელონა).

# დუდუ ქუბრიაშვილი: „ურთულეს ჯგუფში ვართ. მიზანი 2 მატჩის მოგებაა“



მონპელიეს ქართველი ბურჯი დუდუ ქუბრიაშვილი ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ მოედანს 2 თვის წინ დაუბრუნდა, ბოლო ტურებში კი სასტარტო შემადგენლობაში იდგა და ტოპ 14-ის ლიდერ გუნდს ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარება.

რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, მისმა გუნდმა პირველი ადგილი გაინაღდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მონპელიე საჩემპიონო ფლეი ოფში ნახევარფინალიდან ჩაერთვება და სანუკვარ ჯილდომდე მხოლოდ 2 ნაბიჯი დარჩება. თუმცა, ქუბრიაშვილი მიიჩნევს, რომ ამ 2 ნაბიჯის გადადგმა რთული იქნება.

**დუდუ ქუბრიაშვილი:**

– ბოლო წლებში მონპელიე გაიზარდა და საფლეიოფო ექვსეულში რეგულარულად ხვდება, წელს კი ისე მოხდა, რომ ჩემპიონატს პირველ ადგილზე დავასრულეთ. ფლეი ოფში ნახევარფინალიდან ჩავერთვებით და გვაქვს იმედი, რომ ფინალშიც გავალთ. რა თქმა უნდა ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა, თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ მიზნის მიღწევა ურთულესი იქნება. ფლეი ოფში ჩვენს გარდა კიდევ ხუთი გუნდია, რომელთაც იგივე სურვილი და მოტივაცია ამოძრავებთ. ფლეი ოფები, ფაქტობრივად, ცალკე ჩემპიონატია. ძნელი და რთულია მთელი წლის განმავლობაში საუკეთესოებს შორის იყო და რეგულარული გათამაშება სასურველ პოზიციაზე დაასრულო, მაგრამ ბოლო 2-3 თამაშს სპეციალური მომზადება სჭირდება. აქ შეცდომის დაშვების უფლება აღარ გაქვს, რადგან გამოსასწორებლად დრო აღარ გრჩება. ამის ნათელი მაგალითი კლერმონია, რომელიც თითქმის ყველა სეზონს 1-2 ადგილზე ასრულებდა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ჩემპიონობას ვერ ახერხებდა. ფლეი ოფში წარმატებულ თამაშს დიდი გამოცდილება და ფსიქოლოგიური მომზადება სჭირდება, რითაც მონპელიე ვერ დაიკვეხნის. თუმცა მაინც მიმაჩნია, რომ ნახევარფინალის მოგება შეგვიძლია და ახლა სწორედ ამ კონკრეტულ შეხვედრაზე ვფიქრობთ და არა ფინალზე. ფლეი ოფში შემთხვევით ვერავინ ხვდება და ეს უნდა გავითვალისწინოთ. ტულუზა დიდი გამოცდილების მქონე, ძალიან კარგი გუნდია და იცის ამ ეტაპზე როგორ უნდა ითამაშოს. ასევე არიან ტულონი და რასინგი. გაგვიმართლა, ექვსეულში კლერმონი რომ ვერ მოხვდა. სახიფათო გუნდია კასტრი, რომელმაც ერთხელ ფლეი ოფი ბოლო, მეექვსე ადგილიდან დაიწყო და ჩემპიონი გახდა. ერთადერთი ლიონია, რომელსაც ნაკლები გამოცდილება აქვს და ნაკლებად სახიფათო ჩანს, თუმცა სიურპრიზს არც მისგან გამოვრიცხავ.

ქუბრიაშვილის პირველი ფრანგული გუნდი მონპელიე იყო, სადაც 2007-08 წლების სეზონში, პირველი გუნდის შემადგენლობაში 2 მატჩი ჩაატარა. მომდევნო 5 სეზონი დუდუმ ტულონში გაატარა, გუნდის ლიდერად პირველივე სეზონში იქცა და სეზონის განმავლობაში 25-30-მდე თამაშს ატარებდა. წარმატებული იყო მომდევნო 2 სეზონი სტად ფრანსეში, 2015 წლიდან კი ქართველი ბურჯი მონპელიეს დაუბრუნდა და პრობლემებიც დაიწყო.

ეს პრობლემები ტრავმებით იყო

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ატლეტიკო ევროპის ლიგის მფლობელია

**მარსელი-ატლეტიკო 0:3**
**ლიონი. პარკ ოლიმპიკი**
**0:1, 0:2 გრიზმანი (21, 49), 0:3 გაბი (89)**

**მარსელი**: მანდანდა, საკაი, რამი, ლუის გუსტავო, ამავი, ანგისა, სანსონი, ტოვენი, ოკამპოსი (ნჟაი 55), პაიე (მაქსიმ ლოპესი 32), ჟერმენი (მიტროღლუ 74)

**ატლეტიკო**: ობლაკი, ვრშალკო (ხუანფრანი 46), ხიმენესი, გოდინი, ლუკას ერნანდესი, გაბი, საული, კოკე, კორეა (ტომასი 88), გრიზმანი (ტორესი 90), დიეგო კოსტა



ევროპა ლიგის ფინალი სენსაციური არ გამოდგა. მოიგო იმ გუნდმა, რომლისგანაც ყველა ელოდა. ატლეტიკომ მთელი მატჩის განმავლობაში უჩვენა მარსელს, რომ სხვა კალიბრის გუნდია და დიეგო სიმეონეს ხელმძღვანელობით მეორედ მოიგო ეს ტიტული.

ფრანგულმა მიწამ ვერ უშველა ფრანგულ გუნდს. მეტიც, ბევრი ადგილობრივი გულშემატკივარი ატლეტიკოს მხარეს იყო. მიუხედავად იმისა, რომ მარსელის გამარჯვების შემთხვევაში, მესამე ფრანგული გუნდი პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ხვდებოდა. მესამე გუნდი კი დღეს სწორედ ლიონია. და მაინც, მარსელი შეეცადა, ბრძოლა მიეცა მეტოქისთვის, თუმცა ეს მხოლოდ პირველი ტაიმის პირველ ნახევარში მოახერხა.

ამ მონაკვეთში მარსელიც უტევდა, მაგრამ უკვე მერამდენედ გუნდი უყურადღებობამ დაღუპა. ნომინალურმა მასპინძლებმა მეტოქეს გოლი აჩუქეს, ხოლო მათი თანამემამულე ანტუან გრიზმანი, რომელიც თავისი პირველი საერთაშორისო ტიტულის მოგებას ლამობდა, შეცდომის პატიებას არ აპირებდა. და ამის შემდეგ მარსელი მოედანზე აღარ გვინახავს...

გრიზმანმა მატჩის ბედი მე-2 ტაიმის დასაწყისშივე გადაწყვიტა, როდესაც დუბლი გაიფორმა. პროვანსელები მხოლოდ ბოლო 10 წუთში გამოფხიზლდნენ, მაგრამ ერთადერთი რაც შეძლეს კოსტას მიტროღლუს მიერ ძელს გარტყმული ბურთია. მიწურულს გაბიმ სულაც მე-3 ბურთი გაიტანა და მორჩა...

ატლეტიკომ დიდი ანგარიშით იმარჯვა და დიეგო სიმეონეს გუნდის გამარჯვება კანონზომიერია. ატლეტიკო სეზონში ტიტულის გარეშე არ დარჩა, ხოლო გრიზმანმა შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენა, შესაძლოა, თავის უკანასკნელ მატჩში ატლეტიკოს მაისურით.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი –** ანტუან გრიზმანი

ფრანგმა შემტევმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ატლეტიკოს ევროპის ლიგა მოეგო. გაიტანა 2 გოლი და მონაწილეობა მიიღო ბოლო საგოლე შეტევაშიც. გარდა ამისა, შესანიშნავად ასრულებდა სტანდარტებს და მის თანაგუნდელებს, გოდინსა და საულს, შეეძლოთ გატანა.

**დიეგო სიმეონე:**

– ატლეტიკო ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს ის ეტაპია, სადაც ყველაფერი გავაკეთე, რათა კლუბი ევროსარბიელზე გასულიყო და ისტორია შეექმნა. თუმცა, სეზონი არ დასრულებულა – ლა ლიგაში ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მე-2 ადგილი შევინარჩუნოთ. რაც შეეხება გრიზმანს, მინდა აღვნიშნო, რომ მისი დარჩენის შემთხვევაში ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია. თუ წასვლა დააპირა ვეცდებით მის გარეშე შევინარჩუნოთ ის, რაც აქამდე ძალიან დიდი შრომის ხარჯზე შევძელით. პაიეს ტრავმა განვიცადე, რადგან მარსელი ფრანგის იმედად იყო მთელი სეზონის განმავლობაში. გარსიას შეგირდები საკუთარ კედლებში კარგად თამაშობდნენ, თუმცა ფინალში მათ წინაშე მადრიდის ატლეტიკო იდგა...

**რუდი გარსია:**

– პირველ ტაიმში შანსი გავუშვით. განვლილ მატჩში გოლის გატანის პირველი რეალური შანსი ჩვენ გვქონდა. შემდეგ კი შეცდომა დავუშვით, რომელიც გოლად დაგვიჯდა. ისეთ გუნდთან, როგორიც ატლეტიკოა, საკუთარ თავს ანგარიშში ჩამორჩენის უფლებას ვერ მისცემ, რადგან მაშინ ყველაფერი რთულდება. მეტოქემ თამაშის დონე მეორე ტაიმში ასწია. გული მწყდება, რომ არ გაგვიმართლა, როდესაც მიტროღლუს დარტყმის მერე ბურთი ძელს მოხვდა. გოლი თამაშში დაგვაბრუნებდა. ატლეტიკო საუცხოო გუნდია, რომელთან მარცხი სამარცხვინო არაა... პაიეს სასტარტოში დაყენება გადავწყვიტე. ის ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა და შეზღუდული შესაძლებლობებითაც კი ჟერმენს გოლის გატანის შანსი შეუქმნა. დმიტრი სტანდარტულების დროს არ გვყოფნიდა, რადგან, თუ ატლეტიკო გოლს უშვებს, ზოგჯერ ეს სტანდარტულების შემდეგაც ხდება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

**16 მაისი**
**ფეხბურთი**
**ევროპის ლიგა**
**ფინალი**

| | |
|---|---|
| მარსელი-ატლეტიკო | 0:3 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| ჰამარბი-მალმიო | 3:2 |
| **ნორვეგია. ელიტსერია** | |
| ბოდო გლიმტი-ტრომსო | 0:1 |
| ბრანი-ჰაუგესუნდი | 1:1 |
| კრისტიანსუნდი-რანჰეიმი | 1:3 |
| მიოლდე-სტრომგოდსეტი | 2:0 |
| ოდ გრელანდი-სანდერფიორდი | 5:0 |
| რუსენბორგი-ლილესტრიომი | 3:0 |
| სარპსბორგი-სტარტი | 4:0 |
| ვალერენგა-სტაბეკი | 1:0 |

# დუდუ ქუბრიაშვილი: „ურთულეს ჯგუფში ვართ. მიზანი 2 მატჩის მოგებაა“

დასაწყისი მე-9 გვერდზე



გამოწვეული, რის გამოც ქუბრიაშვილს ამ 3 წლის განმავლობაში დიდი დრო გაუცდა და 2015 წლის მსოფლიო თასიც გამოტოვა:

– 2 წლის განმავლობაში მენისკი მაწუხებდა და 2015 წლის მსოფლიო თასის წინ ოპერაცია გავიკეთე, დაზიანებული მენისკი ამოვიჭერი, რათა ტურნირის მსვლელობისას პრობლემა არ შემქმნოდა. კარგად ვიყავი და თამაშებისთვის ვემზადებოდი, მაგრამ ბოლო მოსამზადებელ მატჩზე, დარჩენილი მენისკიც გაწყდა. სამწუხაროდ, აღარც ნემსმა მიშველა და მალევე მენისკის სრულად ამოჭრა მომიწია. მერე ფეხზე წვივის უკანა კუნთი გამეხა და დაბრუნებიდან ძალიან მალე, იგივე კუნთი გავიხიე, ხოლო შემდეგ ჯერზე მეორე ფეხის წვივის უკანა კუნთზეც იგივე დამემართა. საერთო ჯამში, პატარ-პატარა დაბრუნებებს თუ არ ჩავთლით, წვივის კუნთების გამო წელიწადზე მეტი გამიცდა.

ხშირი ტრავმები დუდუ ქუბრიაშვილის სპორტულ კარიერაზე ცუდად აისახა. მონპელიე მასთან კონტრაქტს აღარ აგრძელებს და ბორჯღალოსანი ახალი გუნდის ძიებაშია:

– მომავალი სეზონისთვის განახლებული გუნდის შენება დაახლოებით ერთი წლით, 6 თვით ადრე იწყება. დიახ, მნიშვნელოვან პერიოდში დავბრუნდი, თანაც ისეთი პოზიციის მოთამაშე ვარ, სადაც დიდი რესურსის ქონა მნიშვნელოვანია და იმედია მონპელიეს ჩემპიონობის მოპოვებაში დავეხმარები, თუმცა მომავალი სეზონიდან აქ აღარ დავრჩები და ახლა გუნდის ძიებაში ვარ. ასეთი ხანგრძლივი პერიოდით პირველად ვიყავი ტრავმირებული და, ვინც მსგავს სიტუაციაში ყოფილა, მიხვდება რასაც განვიცდიდი, მაგრამ ფარ-ხმალი არასდროს დამიყრია და არც ახლა ვაპირებ. მე მესმის კლუბის ხელმძღვანელობის, მათ მომავალი სეზონისთვის გუნდის შენება მაშინ დაიწყეს, როდესაც ტრავმირებული ვიყავი და, ახლა რაც არ უნდა გავაკეთო, აღარაფერი შეიცვლება. აქ ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი, მათ შორის შეზღუდვა ლეგიონერებზე. ამიტომ, ახლა ჩემი მთავარი საფიქრალი დარჩენილ მატჩებში მონპელიეს მაქსიმალური დახმარებაა, მერე კი ახალი გუნდი უნდა მოვძებნო.

ტრავმების გამო ქუბრიაშვილს ბორჯღალოსნების მაისურით წელიწად-ნახევარია, აღარ უთამაშია. მან ნაკრების კვართი ბოლოს 2016 წლის ნოემბერში შოტლანდიასთან მოირგო და გუნდს ივნისის ტესტებზე დაუბრუნდება:

– ნაკრებში შარშან ნოემბერში უნდა მეთამაშა, მაგრამ გამომგზავრების წინა დღეს, მონპელიეში თამაშისას მივიღე ტრავმა და დაბრუნება გადაიდო. ივნისის ტესტებისთვის გაფართოებულ სიაში ვარ. ახლა მთავარია, ჯანმრთელად ვიყო და ნაკრებში აუცილებლად ვითამაშებ, რადგან ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია.

ფიჯიზე გამგზავრებამდე ბორჯღალოსნები 31 მაისს თბილისში ფრანგ ბარბაროსებს მასპინძლობენ:

– ძალიან კარგი თამაში იქნება. დამიჯერეთ, პრო დე2-ის კლუბებს საკმაოდ კარგი მოთამაშეები ყავთ და არც ჩემპიონატია დაბალი დონის, როგორც შეიძლება ვინმეს ეგონოს. ჩვენთვის ეს თამაში ძალიან ბევრის მომცემი იქნება. ნაკრებისთვის ყოველთვის რთულია სერიის პირველი მატჩი, რადგან შეუთამაშებლები ვართ და ივნისის ტესტების წინ ეს თამაში ადაპტირებაში დაგვეხმარება.

ივნისში სუვაში ტონგასა და ფიჯის ნაკრებებს შევხვდებით. მსოფლიო რაგბის გადაწყვეტილებით, ეს თამაშები „წყნარი ოკეანის თასის“ ეგიდით ჩატარდება.

დუდუ ფიქრობს, რომ ბორჯღალოსნებს თასის დაუფლების კარგი შანსი აქვთ:

– რატომაც არა?! შარშანწინ გუნდმა ეს მოახერხა და იმედია, თამაშებს წელსაც მოვიგებთ. თუმცა 2 წლის წინანდელთან შედარებით, განსხვავებული თამაშები იქნება. სიმართლე გითხრათ, 2 წლის წინ ბოლომდე არ მჯეროდა, რომ კუნძულებიდან დაუმარცხებლად დავბრუნდებოდით, მაგრამ ნაკრებმა თავისი შესაძლებლობები დაამტკიცა! ახლა იმავეს გამეორება უფრო რთული იქნება, რადგან მეტოქეები უფრო დიდი მონდომებით დაგვიხვდებიან. ჩვენ მოვიპოვეთ სახელი და არა მხოლოდ კუნძულები, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა ახლა საქართველოს სულ სხვა თვალით უყურებს. ის აღარ აღიქმება, როგორც ექვსი ერი ბ-ს გუნდი და ჩვენთან თამაშს ყველა სერიოზულად უდგება. ეს ყველასთვის პატივი გახდა.

32 წლის ბორჯღალოსნის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ფიჯი, რომელიც 2019 წლის მსოფლიო თასზე ჩვენი მეტოქეა, ამჯერადაც დავამარცხოთ და ამით ფსიქოლოგიური უპირატესობა მოვიპოვოთ:

– ფიჯისთან და ნებისმიერ მეტოქესთან მოგება მნიშვნელოვანია, რადგან მისი შედეგი რეიტინგზე აისახება. ფიჯისთან თამაშით ნებისმიერ შემთხვევაში ბევრს ვისწავლით, თუმცა გამარჯვების შემთხვევაში თავდაჯერებულობა მოგვემატება და მეტოქე ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ გვეყოლება, რაც მსოფლიო თასზე გამოგვადგება. რაც შეეხება იაპონიას, ის ბევრისათვისაა უხერხული მეტოქე, რადგან თამაშობს სწრაფ, ხარისხიან რაგბის. მოთამაშეებს მაღალ დონეზე აქვთ ხელის ტექნიკა და ძალიან სწრაფები არიან. ამ მხრივ მათ ბევრი ვერ უწევს წინააღმდეგობას, ამიტომ ზუსტად ვიცით, როგორ შეიძლება მოვუგოთ – მოლი, შერკინება და ერთი-ერთზე ორთაბრძოლები.

ქუბრიაშვილი მიიჩნევს, რომ 2019 წლის მსოფლიო თასისთვის ზედმეტი მოლოდინები არ უნდა შევქმნათ, რეალობის ფარგლებში დავრჩეთ და წინა მსოფლიო თასის შედეგის გამეორებას, ანუ ორი თამაშის მოგებას ვეცადოთ:

– ჩვენც გვინდა ჯგუფიდან გასვლა და ფინალში თამაში, მაგრამ სიტუაცია რეალურად უნდა შევაფასოთ. ურთულეს ჯგუფში ვართ და მიზანი 2019 წელსაც 2 თამაშის მოგებაა, რაც დამიჯერეთ, ძალიან რთული იქნება. ფიჯი მსოფლიო თასზე სულ სხვა გუნდი იქნება, ვიდრე წინა და თუნდაც მომავალ ტესტ-მატჩში იქნება. ეს ყოველთვის ასე ხდებოდა. ინდივიდუალურად, ვფიქრობ, ფიჯელები მსოფლიოში საუკეთესოები არიან. მათი პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ ერთიან გუნდად შეკვრას ვერ ახერხებენ, თუმცა მსოფლიო თასების წინ ეს გამოსდიოდათ და ახლაც გამოუვათ. მათი გაჩერება ყველა გუნდს უჭირს, ეს ურთულესი ამოცანაა, მაგრამ უნდა მოვახერხოთ და წინა მსოფლიო თასის შედეგი გავიმეოროთ.

# ყოფილმა სამხედრომ მეხუთე სართულიდან ჩამოვარდნილი ბავშვი გადაარჩინა



ჩინეთის პროვინცია შანდუნში მამაკაცმა დაიჭირა ბავშვი, რომელიც მეხუთე სართულიდან გადმოვარდა.

ორწლინახევრის ბავშვი მრავალსართულიანი შენობის გარეთა კარნიზზე აძვრა. ეს როგორ მოხდა, უცნობია. სახლის ირგვლივ ხალხმა მოიყარა თავი, ზოგიერთმა გადაღება დაიწყო.

ყოფილმა სამხედრომ ლიუ იანმინმა შენობის იმავე მხარეს რამდენიმე ბინა შემოიარა, საითაც ბავშვი იმყოფებოდა და იპოვა მცხოვრები, რომელიც მის შეშვებას დათანხმდა, ის მესამე სართულზე 50 სანტიმეტრის სიგანის მოედანზე დადგა და მოასწრო, რომ გადმოვარდნილი ბავშვისთვის ფეხში ეტაცა ხელი და დაეჭირა.

# დონალდ ტრამპი ბურგერების ჭამას დიეტაზეც ახერხებს




აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ბურგერების ჭამას თავს არ ანებებს, მხოლოდ ამჯერად მის ჭამას ნახევარი ფუნთუშით იწყებს. იგი ასეთი საშუალებით ზრუნავს საკუთარ ჯანმრთელობაზე.

პრეზიდენტის იურისტმა რუდი ჯულიანიმ ჟურნალისტებს უამბო, რომ როდესაც ის ტრამპთან ერთად გოლფ-კლუბში სადილობდა, მან ბურგერი შეუკვეთა ნახევარი ფუნთუშითა და კოტლეტით.

დიეტოლოგმა ნიკოლა ლადლემრეინმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ კერძს „ჯანსაღს“ ვერ უწოდებს, მაგრამ დაადასტურა, რომ ტრამპი ასეთი სახით ცდილობს კალორიებისა და ნახშირწყლების მოხმარების შემცირებას. მისი აზრით, პრეზიდენტისთვის კარგი იქნებოდა, თუ უარს იტყოდა წითელი ხორცის მოხმარებაზე და ხორბლის პურის, ქათმისა და სალათისგან მომზადებულ სენდვიჩზე გადავიდოდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანიის დროს ტრამპის ტრადიციული სადილი შედგებოდა ორი ბიგ-მაკისგან, ორი ნეკნების ბურგერ ფილე-ო-ფიშისა და შოკოლადიანი რძის კოქტეილისგან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ველოსიპედისტები გვირაბში მატარებელს სასწაულებრივად გადაურჩნენ



ორი ბრაზილიელი ველოსიპედისტი კინაღამ მატარებლის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა და დაიღუპა, მას შემდეგ, რაც ისინი გვირაბში შევიდნენ.

ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ადგილობრივმა მცხოვრებმა ჯედსონ ჯილ მირანდამ გადაიღო კამერით, რომელიც ველოსიპედისტის ჩაფხუტზე იყო დამაგრებული. კადრებში ჩანს, თუ როგორ შედის ის მეორე ველოსიპედისტთან ერთად ცარიელ გვირაბში, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მათ მოახლოებული მატარებლის ხმა ესმით. შეშინებულმა მირანდამ ველოსიპედი იქვე მიატოვა და გვირაბის გასასვლელისკენ გაქანდა, გვირაბიდან გამოსვლა მეორე ველოსიპედისტმაც მოასწრო.

მას შემდეგ, რაც მატარებელმა გაიარა, ბრაზილიელი გვირაბში შევარდა, მიტოვებულ ველოსიპედს მოახტა და გვირაბის მეორე მხარეს დიდი სისწრაფით გავარდა.

# ასტროპროგნოზი

## 18 მაისისათვის



**ვერძი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. დღეს მხოლოდ ის ნივთი შეიძინეთ, რომელიც ძალიან გჭირდებათ. **კურო** – კონფლიქტის აღმოფხვრა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. პოლემიკაში ნურავისთან შეხვალთ. ნუ იაქტიურებთ. **ტყუპები** – ბედი გამოცდას გიწყობთ. იყავით სამართლიანი და უკომპრომისო. **კირჩხიბი** – ყოველმხრივ იღბლიანი დღეა. შრომა დაგიფასდებათ და მატერიალური მდგომარეობაც გაგიუმჯობესდებათ. **ლომი** – შესაფერისი დღეა მეგობრებთან შეხვედრისათვის, ასევე სტუმრების მისაღებად. ნუ იწუწუნებთ. **ქალწული** – ეს დღე უკავშირდება თავგადასავლებს, მოგზაურობას. აქტიურად დაისვენეთ. **სასწორი** – ფიზიკური დატვირთვა, სპორტი და თუნდაც მხოლოდ ფეხით სიარული ჯანმრთელობას საგრძნობლად გაგიკაჟებთ. **ღრიანკალი** – მოდუნდით, ჩაიტარეთ წყლის პროცედურები. იყავით მიზანდასახული. **მშვილდოსანი** – ახლო ნათესავების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. იყავით კეთილგონიერი და დამთმობი. **თხის რქა** – პროვოკაციას ნუ წამოეგებით. გაუფრთხილდით საკუთარ ავტორიტეტს. **მერწყული** – დღის მეორე ნახევარი იღბლიანია საქმიან ქაღალდებზე ხელმოსაწერად, ბიზნესპარტნიორებთან მოლაპარაკებებისათვის. **თევზები** – გამოიჩინეთ ხასიათის სიმტკიცე, იოლად არავის მიენდოთ. გაითვალისწინეთ ახლო მეგობრის რჩევა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 2. ძვირფასი ლითონი; 3. აეროპორტი ბრიუსელში; 4. ირანის სახელმწიფო ენა; 5. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 8. მდინარე სამეგრელოში; 9. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი აღმოსავლეთ საფრანგეთში; 12. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 14. რამე ნაკეთობის, შენობის შემცირებული ზომის მოდელი; 16 ზღვის დიდი კიბორჩხალა.

**თარაზულად**: 1. ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 6. მაღალმთიანი ტბა ნინოწმინდის რაიონში; 7. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტროხელსაწყო; 9. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში; 11. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 13. პატარა მწერი, ქინქლა; 15. პოპულარული მაგიდის სათამაშო; 17. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 18. სამგზავრო-სარკინიგზო ვაგონის ქართული სახელწოდება; 19. რაიონული ცენტრი სვანეთში; 20. მდინარე ამაზონში ბინადარი მტაცებელი თევზი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თევზაძე; 2. ტაქსაფონი; 3. საგარეჯო; 4. წუმწუმა; 5. ყულევი; 9. მაიამი; 11. გერნიკა; 12. ჩაყაში; 14. ლუმბაგო; 18. ელადა; 19. გეიშა.

**თარაზულად:** 4. წყნეთი; 5. ყაბალახი; 6. გაუჩო; 7. ამნეზია; 8. ესკიმო; 10. ტაიგა; 13. ძელქვა; 15. ფიზიკა; 16. ჯორი; 17. წათე; 20. ბედეგი; 21. გიურზა; 22. პუდინგი; 23. შეკელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქაშერი; 2. ხადო; 3. კონსტანტა; 4. ზაქსი; 5. ნიორაძე; 8. აქციზი; 9. პერგამონი; 12. მოსადი; 14. არმაზი; 16. ატაშე.

**თარაზულად:** 1. ქვათახევი; 6. შორაპანი; 7. შეპარდი; 9. პრუსია; 10. თითა; 11. დიადორა; 15. კორიდა; 17. ჰარლემი; 18. ბახალა; 20. შეგირდი.

# სალომე ჭაჭუამ მოდელობა დაიწყო



მოცეკვავე სალომე ჭაჭუამ მოდელობა დაიწყო. მან დიზაინერ სალომე ღვინიაშვილის ახალი კოლექციის ჩვენება გახსნა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ნამდვილი ფურორი მოახდინა.

სალომე ღვინიაშვილმა თბილისის მერსედეს-ბენცის მოდის კვირეულზე შემოდგომა/ზამთარი 2018/19-სთვის შექმნილი კოლექცია წარმოადგინა. კოლექციის გახსნა მან მოცეკვავე სალომე ჭაჭუას ანდო და სპეციალურად მისთვის ორიგინალური და თამამი კოსტიუმიც შექმნა.

# მაკა ზამბახიძე შვილის „იქს ფაქტორიდან" გაშვებით გაკვირვებულია



მომღერალ მაკა ზამბახიძის შვილი, სალომე ჩიტაძე, მუსიკალურ შოუ „იქს ფაქტორიდან" გაუშვეს. 4 სკამის ტურში მისმა მენტორმა ნანიკო ხაზარაძემ სალომე პროექტს მიღმა დატოვა, რამაც მაკას გაკვირვება გამოიწვია:

– ყველას ულრმესი მადლობა, ვინც სალომეს უგულშემატკივრეთ. მადლობა მენტორებსა და განსაკუთრებით დათო ევგენიძეს, რომელმაც ჩემთვის, როგორც მუსიკოსისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასება მისცა, რომ სალომემ იმღერა ურთულესი კომპოზიცია და კაცის ნამღერი უნიკალური სიმღერა აქცია ქალის ნამღერ ფანტასტიკურ ვერსიად, რომელიც, ჩემდა გასაკვირად, ტელევიზიით ვერ მოვისმინე მაშინ, როდესაც ყველა ბავშვზე თითოეული მენტორის შეფასება სრულად იყო გაჟღერებული.

ჩანაცვლებებს რაც შეეხება, ბევრი მეკითხება, როგორც მუსიკოსს, ამიტომ ჩემს აზრს დავაფიქსირებ, რომ შეფასება უნდა ხდებოდეს სიმღერის სირთულისა და შესრულების ხარისხის მიხედვით. აქედან გამომდინარე, ჩემთვის გულდასაწყვეტი და გასაკვირი იყო მარიტა ცეცხლაძისა და სალომე ჩიტაძის პროექტიდან გამოთიშვა.

პ.ს. სასურველია, ასეთ პროექტებში ჟიური დაკომპლექტებული იყოს ისე, რომ გამორჩეული ნიჭის მქონე ახალგაზრდები არ შეეწირონ მათ გადაწყვეტილებებს! აქვე წარმატება მინდა ვუსურვო ყველას, განსაკუთრებით კი „კატეგორია 17 წლამდე" მონაწილეებს.

# ზურა დოიჯაშვილი: „მრცხვენია, რომ ჩემს ქვეყანაში ბოზობას გვიქადაგებენ!"



ასე ეხმაურება მომღერალი ზურა დოიჯაშვილი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს:

– ჩავთვალე, რომ უნდა გამოვთქვა ჩემი აზრი. მე და ბევრი ჩემნაირები კომუნისტურ წყობაში დავიბადეთ და გავიზარდეთ, მაგრამ ღირსება არასდროს დაგვიკარგავს. ჩვენ დროს ძმაკაცის გულისთვის შეიძლება ციხეში წავსულიყავით და ასეც ხდებოდა.

დღეს მე მრცხვენია, რომ ჩემს ქვეყანაში ბოზობას, მაპატიეთ, გვიქადაგებენ... გავ..რი ასეთ ქვეყანას, სადაც ჩაშვება მაგარ ტონად ითვლება... და გავ..რი ყველას, ვინც ამ, უკაცრავად, მარაზმს მხარს დაუჭერს.

# მუზეუმების საერთაშორისო დღეს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალ ყველა მუზეუმში შესვლა თავისუფალია




18 მაისი მუზეუმის საერთაშორისო დღეა. 1977 წლიდან, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს გადაწყვეტილებით, ეს დღე მთელ მსოფლიოში ღია კარის დღეებით აღინიშნება. მუზეუმებში ეწყობა გამოფენები, საგანმანათლებლო პროგრამები, სამეცნიერო კონფერენციები, ლექციები და სხვადასხვა აქტივობა.

მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს მუზეუმის ფესტივალი ჩატარდება, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს მიეძღვნება.

18 მაისს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალ ყველა მუზეუმში შესვლა თავისუფალია.

მიმდინარე გამოფენების გარდა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრებში გაიმართება სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი პროგრამა და მათზე დასწრებაც თავისუფალია.

კულტურის სამინისტროს ინიციატივით კი კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წლის ფარგლებში 19 მაისს აქცია „ღამე მუზეუმში" გაიმართება. აქციის ფარგლებში საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმი დამთვალიერებელს სრულიად უფასოდ უმასპინძლებს და მრავალფეროვან პროგრამას შესთავაზებს.

პროექტის ფარგლებში ხელოვნების სასახლე საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენას მოაწყობს. 19 მაისს დამთვალიერებელს პირველად მიეცემა საშუალება, იხილოს ლევილიდან ჩამოტანილი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტის დედნის ასლი (მესამე პირი), აქტის ძვირფასი თვლებით შემკული (რესტავრირებული) ყდა, პირველი რესპუბლიკის ჰიმნის სანოტო დოკუმენტი, პირველი რესპუბლიკის ჰიმნის ავტორის (კოტე ფოცხვერაშვილის) ქულაჯა და ფოტო და საარქივო დოკუმენტები.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 125 წელი შესრულდა



კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 125 წელი შესრულდა.

მწერალს არასდროს უყვარდა საკუთარ თავზე ლაპარაკი, თუმცა 70 წლის იუბილეზე განაცხადა:

– მე დავიბადე მსოფლიოს უმცირესი და უმოკლესი მდინარის პირას. მას ჰქვია სახელად ზანა. მე მომიხდა რამდენიმე უნივერსიტეტში სწავლა ლენინგრადში, კენიგსბერგში, ლაიპციგში, მიუნხენში, პარიზში, ბოლოს – ბერლინში.

ყველგან და ყოველთვის მე მიხდებოდა გაჯიბრება გერმანელებთან, ებრაელებთან, პოლონელებთან, ამერიკელებთან და ფრანგებთან.

არავის ვუმხელდი, მაგრამ ჩემს თავს ვეუბნებოდი: „შენ, ჰეი, მსოფლიოს უმცირესი მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა"

# ქართველი მუსიკოსები ჩინეთში მიიწვიეს



ქართველი მუსიკოსები და მომღერლები ჩინეთში მიიწვიეს.

ჩინეთში საქართველოს საელჩოს მიწვევით ოთარ მაღრაძის ჯაზკვარტეტი და მაია ბარათაშვილი პეკინში გაემგზავრებიან, სადაც წარდგებიან ჩინელი მაყურებლის წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

ჯგუფის წევრები არიან ოთარ მაღრაძე, ფორტეპიანო, გიორგი სამსონაძე, კონტრაბასი, ვალერი ფაილოძე, დასარტყამი, კახი ჯაგაშვილი, საქსოფონი და მაია ბარათაშვილი, ვოკალი.

ხელოვანები ჩინელი მსმენელისთვის საკუთარი რეპერტუარიდან საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებებს შეასრულებენ.

# აზერბაიჯანული თეატრი ძირგამომპალ შენობაში სიცოცხლის რისკის ფასად მუშაობს



აზერბაიჯანული თეატრი სეზონს ორი პრემიერით დახურავს. ავარიული და ამორტიზებული შენობა, სცენისა და მაყურებელთა დარბაზის არარსებობა და მთლიანად მოშლილი და განადგურებული ინფრასტრუქტურა თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაობას ხელს არ უშლის. მსახიობები და ადმინისტრაციის წევრები ამ თეატრის სიყვარულით არ უშინდებიან რეპეტიციებზე სიარულსა და ახალ სპექტაკლებზე ძირგამომპალ შენობაში სიცოცხლის რისკის ფასად მუშაობას.

თბილისის აზერბაიჯანული თეატრის მსახიობები, რომლებსაც მრავალი და მრავალფეროვანი როლები აქვთ შექმნილი, ფაქტობრივად, მოხეტიალე შემოქმედებით ცხოვრებას ეწევიან, მართავენ გასვლით სპექტაკლებს მარნეულში, ბოლნისში, დმანისში, გარდაბანში... მონაწილეობენ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში. თეატრს მიღებული აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი პრიზიც!

აზერბაიჯანული თეატრის თანამშრომლებს წარმატებები და ახალი შემოქმედებითი რიტორიკა აძლევს ძალას, გამბედაობასა და მოტივაციას, იყვნენ ერთად და ერთსულოვანნი თეატრის აღორძინების საქმეში!

თეატრში ამჟამად ორ ახალ პიესაზე მუშაობენ. აქვსენტი ცაგარელის „ოინბაზს" კობა სხილაძე დგამს, ხოლო სემა გიოქთაშის „ჯურღმულში" ახალ სასცენო ინტერპრეტაციას დავით ნიკოლაძე წარმოადგენს. სპექტაკლებში შეილა ჯაფაროვა, აიდა თაგიევა, ლეილა კასუმოვა, ფაზილ ბაირამოვი, აზერ ალიევი, ბინალი აკიპოვი, ანარ გუმბათოვი და ბათუჰან ერქუთი (თურქეთი) არიან დაკავებულნი. რეპეტიციები დილით და საღამოს მიმდინარეობს.

თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის პრესსამსახურში განაცხადეს, რომ პრემიერები გაიმართება საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრში, ახალ სეზონზე კი ამ სპექტაკლებით დასი თურქეთის რესპუბლიკაში გასტროლების გამართავს გეგმავს.

# ხერთვისის ციხე ტურისტების მისაღებად მზად არის

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით?ხერთვისის ციხის კომპლექსთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ძირითადი ნაწილი დასრულდა.



ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე ადრე ასვლა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, გარდა იმისა, რომ ობიექტი ტურისტულად მიმზიდველი გახდა, განახლებული ინფრასტრუქტურა საშუალებას მისცემს რეგიონს, მოახდინოს შემოსავლების გენერირება.

ჩატარებული სამუშაოების შემდეგ რეაბილიტირდა ადმინისტრაციული შენობა, ვიზიტორთა ცენტრი, ციხეზე ასასვლელ გზაზე დაიგო ქვაფენილი, აღდგა კარიბჭე, მოეწყო წყალმომარაგების სისტემა, პარკინგი, მოსაცდელი და საპირფარეშო.

# გერგეტის სამებაში ვანდალური ფაქტი მოხდა



მსოფლიოს ულამაზეს ტაძართა შორის მოხვედრილ გერგეტის სამებაში ვანდალური ფაქტი მოხდა.

ხელოვნებათმცოდნე ვლას ვაწაძემ გაავრცელა ფოტო, სადაც ტაძარზე შავი ფლომასტერით ადამიანების სახელებია ჩამოწერილი.

**ვლას ვაწაძე:**

– „ჩვენი დროის გმირები, ამა წლის ვანდალური ფაქტი გერგეტის სამებიდან!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**18 მაისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4315 | ევრო — 2.8667 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2762 | 100 რუსული რუბლი — 3.8911 |

## ამინდის პროგნოზი 18 მაისისთვის








## 15 მაისიდან

სერია ნამდვილი დეტექტივი

დეშილ ჰემეთი

## მალტის შევარდენი

მალტელ რაინდთა ორდენის მიერ ესპანეთის იმპერატორისთვის ნაჩუქარი უძვირფასესი განძი, ბრილიანტებით მოოჭვილი „შავი შევარდენი", უამრავ პატრონს გამოიცვლის, მე-20 საუკუნის ამერიკაში აღმოჩნდება და თავის გზაზე სისხლიან ნაკვალევს დატოვებს.

ბოლომდე არავის სჯერა მისი არსებობის, მაგრამ ადამიანები მაინც დაუნდობლად ხოცავენ ერთმანეთს ამ ზღაპრული ნივთის ხელში ჩასაგდებად...

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 18 მაისიდან

ვიქტორ სუვოროვი

## აკვარიუმი

ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს




**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## ლევანდოვსკი, სავარაუდოდ, ბაიერნს დატოვებს



მიუნხენის ბაიერნის ფორვარდი რობერტ ლევანდოვსკი ზაფხულში, სავარაუდოდ, ბაიერნს დატოვებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლევანდოვსკიმ თავის აგენტს სთხოვა, რომ მას ახალი გუნდი მოუძებნოს.

პოლონელი ფორვარდის შეძენა საკმაოდ ბევრ გუნდს სურს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს ლევანდოვსკი კარიერას. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითონ ლევანდოვსკის არ დაუდასტურებია ინფორმაცია, რომ მას ბაიერნიდან წასვლა სურს. ლევანდოვსკი ბაიერნის ღირსებას 2014 წლიდან იცავს, მანამდე კი მან სახელი დორტმუნდის ბორუსიაში გაითქვა.

## კლაუდიო რანიერი ნანტიდან გაუშვეს



კლაუდიო რანიერი მომავალ სეზონში ნანტის მწვრთნელი აღარ იქნება. ამის შესახებ განცხადება ნანტის ხელმძღვანელობამ გააკეთა. მათ არ უთქვამთ, თუ რა იყო ამ გადაწყვეტილების მიზეზი, მაგრამ ფრანგულ პრესაში ხშირად იწერებოდა რანიერის კონფლიქტზე ნანტის ხელმძღვანელობასთან და, როგორც ჩანს, ეს სიმართლე აღმოჩნდა.

თვითონ რანიერიმ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ გუნდის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას დაელოდება და თავის მომავალს შემდეგ დაგეგმავს.

რანიერისთან ერთად ნანტმა საფრანგეთის ჩემპიონატში მე-10 ადგილი დაიკავა.

## ნეიმარი: „ბრაზილიის ნაკრებს ყველას დამარცხება შეუძლია"



ბრაზილიის ნაკრების ლიდერმა ნეიმარმა ინტერვიუში მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ისაუბრა და თქვა, რომ მის ნაკრებს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია.

ნეიმარის აზრით, ბრაზილია ტურნირის მთავარი ფავორიტია.

— თუ მოვახერხებთ ჩვენი საუკეთესო ფეხბურთის ჩვენებას, მაშინ ნებისმიერი გუნდის დამარცხება რეალური იქნება. მსოფლიო ჩემპიონატის მოგება ჩემი ოცნებაა და, იმედია, წელს ეს ოცნება რეალობად იქცევა, — განაცხადა ნეიმარმა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი



რეკლამა ფიტნეს კლუბში:

— თუ თქვენ ჩვენი მომსახურეობა არ მოგეწონებათ, მაშინ თქვენ მიერ დამწვარ კალორიებს უკლებლივ უკან დაგიბრუნებთ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ერთი თვის წინ კინაღამ დავიწვი...

— ეგ როგორ?

— კინაღამ ჩემ ცოლს ჩემი საყვარლის სახელით მივმართე.

— მერე?

— სახლში კატა მივიყვანე და საყვარლის სახელი დავარქვი... რა იყო, რატომ ჩაფიქრდი?

— ერთი კვირის წინ ჩემმა ცოლმა სახლში ძაღლი მოიყვანა და გივი დაარქვა...

●●●

ორი დიდი ხნის უნახავი დაქალი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

— გამარჯობა! ნუთუ ეს შენ ხარ? მთელი 15 წელი არ მინახიხარ! არადა ისე გასუქებულხარ, რომ თავიდან ვერც კი გიცანი.

— ჰო, შენც ძალიან შეცვლილხარ, შენი ეს ძველი ყვავილებიანი კაბა რომ არა, ვერც კი გიცნობდი.

●●●

მებუფეტე ოფიციანტს ეუბნება:

— გეყოფა მთვრალი კლიენტების გარეთ გაგდება.

— რატომ?

— იმიტომ, ალბათ დაგავიწყდა, რომ ვაგონ-რესტორანში მუშაობ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— ასეთი დაღვრემილი რატომ ხარ?

— ცუდი ჰოროსკოპი მაქვს.

— მაინც რაო, რას ამბობს?

— მერწყული ახლობელი ადამიანის ღალატის შესახებ შეიტყობსო.

— მერე შენ ხომ მერწყული არ ხარ?

— ცოლია მერწყული...

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

— ჩემი ქმარი მანქანის საჭესთან ისეთი აგრესიულია, შენი კი როგორი მშვიდია და დასამშვიდებლად რას აძლევ?

— არაფერს, უბრალოდ ვაძლევ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, ლ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით



## სერია ნამდვილი დეტექტივი

**22 მაისიდან** ნაიო მარში **კატი იწვა მკვდარი**




დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას" თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**29 მაისიდან**

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**

ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**




**5 ივნისიდან**

გილბერტ ჩესტერტონი

**მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი**

მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 ივნისიდან**

როს მაკდონალდი **შიში**

ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


## ალიგატორმა გოლფის მოედანზე გაისეირნა



უზარმაზარმა ალიგატორმა აუჩქარებლად გაისეირნა გოლფის მოედანზე, ამ დროს კი მას მისგან უსაფრთხო მანძილიდან ირმების გუნდი ადევნებდა თვალს. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

აღნიშნული ინციდენტი ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ ბოფორტში მოხდა.

— აქ, ბოფორტში, უზარმაზარი ალიგატორია. შეაფასეთ, თუ როგორ დასეირნობს გოლფის მოედანზე უზარმაზარი ცხოველი, რომლის სიგრძე 3,5 მეტრს აღემატება. მასთან საქმის დაჭერა არავის სურს, — ნათქვამია ვიდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარში. აღნიშნული ვიდეოს ავტორმა რეპტილიას „მონსტრუოზული" უწოდა.

ალიგატორის გოლფის მოედანზე გასეირნების შედეგად არავინ დაშავებულა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა




**შვეულად**: 1. სხვადასხვა ოპერიდან აღებული მუსიკალური ნაწყვეტებისგან შექმნილი ძველებური იტალიური ოპერა; 2. კუთხე საქართველოში; 3. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 5. ქართული ხალხური ზღაპარი; 4. მოჩვენებითი მამაცობა, ბაქიაობა; 9. ძველად სატუსაღო, ახლანდელი მუზეუმი ლონდონში; 11. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 12. იაპონური მაფია; 14. მოხეტიალე ქართველი მევიოლინე მომღერალი მამაკაცი; 18. საერთო სახალხო კრება ძველად საბერძნეთში; 19. ნორვეგიელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი.

**თარაზულად**: 4. „დეკამერონის" ავტორი; 5. ქართველი მგოსანი; 6. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 7. ქართული ტელეკომპანია; 8. ქალაქი ლონდონის მახლობლად, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოღი; 10. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 13. გურულების, აჭარლების, მესხების ძველებური ჩოხა; 15. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 20. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 21. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი; 22. უფროსი მწყემსი; 23. ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ღერო ან ფესვი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*